გაუგებარია მიმდინარე საგადა-სახადო ვალდებულებების შესრუ-ლების მოთხოვნაც, რადგან საგადა-სახადო ვალდებულებების შეუსრუ-ლებლობა გადასახადის გადამხდე-ლის "სპორტული აზარტის" გამო კი არ ხდებოდა, არამედ ამ ვალდებულების ამკარად უსამართლო და ანტიადა-მიანური ხასიათის გამო. საკითხი-ცაა, ამ კანონპროექტის მიღებით სად გაქრება საგადასახადო ვალდებუ-ლებათა შეუსრულებლობის ეს მო-ტივები და რატომ არ დაინერგეს სა-გადასახადო ბაზას იგივე საგადასა-ხადო ვალდებულებების შესრულება 2004 წლის პირველი იანვრიდან ახა-ლი საგადასახადო კოდექსის ამოქ-მედებამდე? ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს, ამიტომაც უნდა მოხდეს 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოქმნი-ლი ვალდებულებების სრული ანუ-ლირება, ხოლო 2004 წლის 1 იანვრი-დან ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილი საგა-დასახადო ვალდებულებების საკი-თხი უნდა მოაწესრიგოს ახალმა სა-გადასახადო კოდექსმა.

რაც შეეხება თვით კანონპროე-ქტი არსებულ კონკრეტულ ხარვეზ-ებს.

კანონპროექტი ეხება მხოლოდ იმ საგადასახადო ვალდებულებებს, რომელიც წარმოიშვა გადასახადის არდელკარირებით. იგი არ ეხება დე-კლარირებულ, მაგრამ გადაუხდელ (ან წაწილობრივ გადახდილ) გადასა-ხადებს. საგადასახადო ვალდებუ-ლების შეუსრულებლობა არ არის მხოლოდ გადასახადის არდელკარი-რება. საგადასახადო ვალდებულე-ბის შეუსრულებლობა სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი: ა) გადასა-ხადის სწორად დეკლარირება, მაგრ-ამ გადასახადის სრულად ან ნაწი-ლობრივ გადაუხდელობა; ბ) გადასა-ხადის არასწორად დეკლარირება (გადასახადის შემცირება) და, შესა-ბამისად, შემცირებული ოდენობით

გადასახადის გადახდა, ან გადაუ-ხდელობა; გ) გადასახადის არადეკ-ლარირება და, შესაბამისად, გადაუ-ხდელობა; დ) გადასახადის არადეკ-ლარირება, მაგრამ გადასახადის სრულად ან წაწილობრივ გადახდა;

კანონპროექტის მიხედვით, იგი, ვინც არ დამალა გადასახადი და მო-ახდინა მისი დეკლარირება, მაგრამ ვერ გადაიხადა (ან წაწილობრივ გა-დანიხადა იგი), ისევეა (რადგან მის მიმართ არ ვრცელდება კანონის მო-ქმედება), შეღავათი კი წესდება მათ-თვის, ვინც არც გადასახადის დეკ-ლარირება მოახდინა და არც გადაი-ხადა. ამგვარი ნორმა აშკარად უსა-მართლოა. ამის გამო კანონპროექტ-ით დადგენილი ნორმები უნდა შეეზ-ოს საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის ყველა ფორმას.

თავისთავად ის ფაქტი, რომ და-დგენილ ზღვარს (ერთი მილიონი ლარი) ზემოთ ხდება არადეკლარი-რებული გადასახადების გაუქმება, არამედ რესტრუქტურიზაცია, ნიშნე-ავს კორუფციის სამართლებრივი საფუძვლის დამუშებას, რადგან დეკ-ლარირებული გადასახადის ოდენო-ბის (არაუმეტეს მილიონ ლარისა) არსებობის "დაჯერება" (თანაც ფრიად მოკლე - ერთთვიან ვადამ)

დამოკიდებულია საგადასახადო სა-მსახურის კეთილსინდისიერებასა და სუბიექტურ შეხედულებაზე. რამედ-ნად კეთილსინდისიერი და ობიექ-ტური იქნება საგადასახადო სამსა-ხური, ძნელი წარმოსადგენი არ არ-ის; შესაბამისად, არსებობს საფუძ-ველი როგორც წინადა დამოკიდებუ-ლი კორუფციული, ისე პოლიტიკურ-კო-რუფციული გარიგებების დადებისა. ნურავნ შეიცვადება ნათქვამს და უარყოფს მას დღევანდელი ხელისუ-ფლების პატიოსნების მოტივით, რა-დგან ძალაუფლება რყვნის ყველა ხელისუფლებას, ძალაუფლების ბო-როტად გამოყენებისაკენ მისწრაფე-ბა ნებისმიერი ხელისუფლების იმა-ნებნელი თვისებაა. ამგვარ მდგომა-რეობაში კი შეუძლებელია ბიზნესი ხელისუფლებისგან დამოუკიდებ-ლი იყოს. ძლიერი სახელმწიფოს შექ-

მნისა და სიღარიბის დაძლევის ერ-თადერთი წამალი კი თავისუფლე-ბაა.

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დღევანდელ ხელისუფლებას კორუ-ფციული გარიგებების დადების მი-ზანი ამოძრავებს, წინააღმდეგ შე-თხვევაში, ის არ შექმნიდა განსახლ-ველ კანონპროექტს, მაგრამ არსე-ბული პრობლემის მოგვარებისას სე-რიოზული შეცდომის დამუშავა (ხე-ლისუფლების ნებისა და განზრახე-საგან დამოუკიდებლად) უშიძიეს შე-დეგებს გამოიღებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესტრუქტურიზაციის არსებუ-ლი კანონი სერიოზული ინსტიტუცი-ური ჩანაწევებით ხასიათდება, რად-გან იგი ხელს უშლის ბიზნესის თვი-თრეგულაციის მექანიზმის მუშაობა-ს და ეფექტიანობას უკარგავს თავი-სუფალი ეკონომიკის უმთავრეს ღო-რებულებას - ბიზნესსექტორიდან სათანადო უნარისა და ჩვევების არ-მქონე სუბიექტთა ბუნებრივ განვდ-ენას. ეს კი ამახინჯებს შრომის ბაზ-არს, ფასთა სისტემას და მთელ ეკო-ნომიკას. ვინაიდან არ არის განსა-ზღვრული კონკრეტული რესტრუქ-ტურიზაციის კონკრეტული მიზნები, რჩება სუბიექტური გადაწყვეტილე-ბების მიღების კარგი შესაძლებლე-ბები. ეს კი გამოიციხავს იმის შესაძ-ლებლობას, რომ მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებების სისწრაის მო-ნიტორინგი.

ამასთანავე, რესტრუქტურიზა-ციის შესახებ გადანყვეტილების მი-ღება (ნესით) უნდა გამყარდეს ბიზ-ნესებშია და აუდითური დასკვნე-ით, რისი ერთთვიან ვადაში წარდგე-ნა და შემოწმება პრაქტიკულად შეუ-ძლებელი იქნება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სა-კითხია კანონპროექტის მიღების ვა-და, რადგან მასზეა დამოკიდებული კანონპროექტის ეფექტიანობა. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტი მი-ღებულია და ამოქმედებული იქნება ახალი საგადასახადო კოდექსის მი-ღება-ამოქმედებამდე, მაშინ კანონპ-როექტის ეფექტი თითქმის ნულოვა-

ნი იქნება, რადგან გადასახადის გა-დამხდელები უნდობლად შეხედები-ან (და მათ ექნებათ ამის საფუძველი) კანონპროექტის ამოქმედებას არსე-ბულ საგადასახადო სისტემაში, რა-დგან ახალი საგადასახადო კოდექს-ის მიუღებლობის შემთხვევაში არ-დეკლარირებული გადასახადების დეკლარირება ნიშნავს სასიკვდილო განაჩენზე ხელმოწერას. გადასახად-ის გადამხდელები, ცხადია, ამ სარი-სკო ნაბიჯს არ გადადამენ.

ლოგიკური იქნება, თუ პარლამე-ნტი კანონპროექტს მიიღებს და ამ-მოქმედებს ახალ საგადასახადო კო-დექსთან ერთად. თუმცა ამ შემთხვე-ვაში აზრს კარგავს კანონპროექტის ცალკე წარმატული აქტის სახით მიღება, რადგან საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სწორი იქ-ნება, თუ 2004 წლის 1 იანვრამდე წა-რმოშობილი საგადასახადო ვალდე-ბულებათა ანულირებისა და 2004 წლის 1 იანვრის შემდეგ ახალი საგა-დასახადო კოდექსის ამოქმედებამ-დე წარმოქმნილი ვალდებულებების საკითხი მოწესრიგდება ახალი საგა-დასახადო კოდექსის გარდამავალი დებულებებით. ამ შემთხვევაში მოი-სპობა კანონპროექტსა და ახალ სა-გადასახადო კოდექსს შორის დროის ინტერვალის არსებობის გამო წარ-მოქმნილი პრობლემები.

P.S. ახალი საგადასახადო კო-დექსის პროექტი (რომლის თანავა-რებებიც ვართ ჩვენს თანამოაზ-რებებთან ერთად) ორი წლის წინ შე-მუშავდა და იგი პირველი მოსმენ-ით 2003 წლის გაზაფხულზე მიიღო პარლამენტმა. საგადასახადო სის-ტემის თითქმის ანალოგური შინა-არსის რეფორმით (სხვათა შორის, საკალტურ ფონდის წინააღმდეგო-ბის მიუხედავად) სლოვაკეთმა სე-რიოზულ ეკონომიკურ სწრაფებე-ებს მიაღწია. დღეს ლოკალური "ევროპის პონკოვგს" უწოდებენ.

დავით შარვაშიძე: "მიუღებელია ბაზრებიზე არსებული ვითარება"

ვეტერინარია სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მოსახლეობისთვის კი იგი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასზე დამოკიდებულია ჯვანსალი საკვები პროდუქციის მიღება. საქართველოში ადგილობრივი მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქცია ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყანაში ყოველთვიურად, დაახლოებით, 400 ტონა ხორცის იმპორტი ხორციელდება. ადგილობრივი წარმოებისა თუ უცხოეთიდან შემოტანილი ხორცის ხარისხზე კი სწორედ აღნიშნული დეპარტამენტი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ლაბორატორიები არიან პასუხისმგებელნი. თუმცა საფრანგეთში არსებობს საერთაშორისო ეპიზოტიური ბიურო, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გავრცელებული პროდუქციის კონტროლს ახორციელებს და ზრუნავს მის უსაფრთხოებაზე.

	"ს/ს თელასის" განცხადება
	ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფელაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმ-დინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:
26 აპრილი, 11.00-დან 15.00-ს-მდე: რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), შვეჩენკოს, უკრაინკას ქუჩების მაცხოვრებლებს.	
26 აპრილს, 10.00-დან 18.00-ს-თ-მდე: სამტრედიის, აგლაძის, გუდაუთის ქუჩების მაცხოვრებლებს.	

ნინო ნარკიაშვილი

"ყოვლად მიუღებელია ბაზრე-სა და ბაზრობების დამკვიდრებუ-ლი ვითარება," - განაცხადა სოფლ-ის მეურნეობის სამინისტროში ვეტე-რინარიის პრობლემების განხილვის მიზნით გამართულ შეხვედრაზე სო-ფლის მეურნეობის მინისტრმა დავე-ით შერვაშიძემ და ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ლევან რამიშვილს მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გეგმა მოსთხოვა. აღსანიშნავია, რომ "ვე-ტერინარიის შესახებ კანოში"

ანალიტიკოსები დოლარის კურსის ზრდას პარაუდობენ

ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის გრინსპენის მოხსენება ამერიკის სავაჭრო სესიაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, საკალულტო კურსების განმსაზღვრელი გახდა. თუმცა, დოლარმა გამყარება ჯერ კიდევ ამ ფაქტმდე დაიწყო.

დინაა ჩაიაა

მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსები წინასწარედ განსაზღვრავდნენ, რომ ამ დღეებში ევროზულ ვალუტებზე განსაკუ-თრებული რყევები არ იყო მოსალოდნე-

ლი. ბოლო დღეებმა საკმაოდ მშვიდად ჩა-იარა ევროსთვის და ფრანკისთვის, თუ არ ჩავთვლით მათ მიერ რეაქციას გრინს-პენის ამერიკულ სავაჭრო სესიაზე გამოს-ვლასთან დაკავშირებით, თუმცა ამ დრო-საც, ევროს და ფრანკის კურსისთვის დღის უმეტესი ნაწილი სტაბილური იყო.

გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალო-ს ბრიტანული ფუნტი, რომლის სისუსტე-მ განსაკუთრებულ ზღვარს მიაღწია. ეს კარგად იყო ასახული ინგლისის ბანკის კომიტეტის მიერ მომზადებულ პროტო-კოლში. კომიტეტის სხდომაზე გადანყე-ვტილებს საპროცენტო განაკვეთის მიხედ-ვით მიიღეს. ხმები რვა ერთთან განედ-და, რაც ბაზრისთვის მოულოდნელობა იყო და ეს გახდა კიდევ ფუნტის კურსის ზრდას კუთხით. ამისგან არ მოუღალა ან-ის ხარისხს ამონუმამდე -1.7654 დაცემ-ის კერძო საკუთრებაში გადაცემა

დოლარ-იენის ამჟამინდელი რყევებ-იც ასევე დოლარის კურსის გამყარების ტენდენციით იყო გარდგნეული.

ალან გრინსპენმა სენატის წინაშე თა-ვისი გამოსვლის მეორე ნაწილში აღნიშნა, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაც-რებამ, შეიძლება, საპროცენტო განაკვე-თების მიმდევრობითი ზრდა არ გამოიწე-ვიოს, თუმცა აღნიშნა, რომ ეს ფაქტი და-დებით გაცვენას მოაუდგნს ამერიკულ ეკ-ონომიკაზე, რაც, თავის მხრივ, ნაციონა-ლურ ვალუტას გამაყარებს.

რეზირანდუმი კვიპროსში

პირადი გაარდიან

რაუფ დენტთაში თურქ კვიპროსე-ლებს 30 წლის მანძილზე ხელმძღვანე-ლობს (თურქეთში მას პრეზიდენტად მოიხსენიებენ), დღეს კი მას თანამოქ-ლაქეთა გამოსვლების ცქერა უწევს. მათ, როგორც აღმოჩნდა, სიღარიბეში ცხოვრება მოებზრდათ და ევროპისკენ მიუწევთ გული. მით უმეტეს, რომ იქვე, მათსავე კუნძულზე ფემენგელური სა-სტუმროები, შედარებით მდიდრული ყოფა და კიდევ უფრო გამდიდრების რეალური შანსი არსებობს. ამიტომია, რომ მთელი გულით უჭერენ მხარს რე-ფერენდუმის ჩატარებას. რეფერენდუ-მმა უნდა უპასუხოს კითხვას, გაერთიან-დება თუ არა 1974 წელს გაყოფილი კუნძული. ამ წლიდან მოყოლებული, კუნძულის თითქმის მესამედს თურქე-თის შეიარაღებული ძალები იცავენ.

თურქული მოსახლეობის უმეტესო-ბა გაერთიანებისა და, აქედან გამომდი-ნარე, ცხოვრების პირობების გაუმჯო-ბესების მომხრეა. მაგრამ დენტთაშს მე-ორე ნაწილის იმედო აქვს, დღემდე გან-წიროული ხმით რომ გაჰყვირიან "არა - ამ შუთანხმებას! არა - ანანს! არა - თურქე-თის! არა - ევროპას! ყველამ იცოდეთ: ჩვენ 30 წელი იმისთვის კი არ ვიბრძოდ-ით, რომ ჩვენი მიწა პირველივე ხელსაყ-

რელ შემთხვევაში გაგვეყიდა".

თავად დექთაშისათვის დღევან-დელი სიტუაცია პიროვნულ ტრადიცი-ად გადაიქცა. თავისი პატარა "თურქუ-ლი სამშობლოს" დამოუკიდებლობისა-თვის მთელი სიცოცხლის მანძილზე მე-ბრძოლი მოსახლეობასთან კონტაქტს თანდათან კარგავს. ხვდება, ალბათ, რომ ცხოვრებას ჩამორჩა და "ცივი ომ-ისდროინდელი" მსოფლიოს ერთადერთ პოლიტიკოსად დარჩა ევროპაში. საგა-რუდოდ, რეფერენდუმში კვიპროსელი თურქების ნახევარზე მეტმა მაინც უნ-და დაუჭიროს გაერთიანებას მხარი. მა-შინ კი დენტთაშის კარიერა, ალბათ, და-სრულდება. მას გადადგომა მოუწევს, რითაც კვიპროსის ისტორიაში მთელ ეპოქას ბოლო მიეღება.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ დენტთაშის გადარჩენა მის ყველაზე დაუძინებელ მტრებს - კვიპროსელ ბერ-ძნებს შეუძლიათ. უკანასკნელი გამოკე-თივები აბტკიცებს, რომ კვიპროსელ ბე-რძენთა 70 პროცენტი გაერო-ს სამშეი-დბო გეგმის წინააღმდეგია. მათ არ მო-წონთ ზნუღა საერთაშორისო საზოგა-დეობის მხრიდან და რეფერენდუმის ჩა-საგდებად ემზადებიან.

კვიპროსელ ბერძენთა აზრით, რე-ფერენდუმში დადებითი პასუხის გაცემა კუნძულის ორად გაყოფას დააკანონებს.



რაუფ დენტთაშის ეპოქა დასრულდა.

გეგმის თანახმად, ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე ორსუბიექტიანი სუსტი ფე-დერაციული წყობის სახელმწიფო ჩამო-ყალიბდება, ლტოლვილების ნაწილი ჩრდილოეთში დაბრუნდება, თუმცა, არა ყველა ბერძენი. შეიძლება, ესეცაა უარის მიზეზი. ბერძნები უკმაყოფილონი არი-ან, რომ საკუთარ ოჯახებში დაბრუნების

შესაძლებლობა მხოლოდ ლტოლვილთა შეზღუდულ რაოდენობას ეწეება.

პოლიტიკური ფაქტორების გარდა, კვიპროსელ ბერძენთა უარს, შესაძლოა, ეკონომიკური ფაქტორები უფრო მეტა-დაც განაპირობებდეს. დღეს ბერძნებს არ ეთმობათ ტურიზმი, რომელმაც შესა-ძლოა უკეთესი ბუნებრივი პირობების

გაერო-მ ერაყში კორუფციასთან ბრძოლა წამოიწყო

რა მიზნები ამოძრავებს გაერო-ს?

გაერო–ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის განცხადებით, ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებსაც ერაყისთვის განკუთვნილი პროგრამის - "ნავთობი პროდუქციის სანაცვლოდ" - რეალობაციის პერიოდში კორუფციამი დაზნაშავეებად სცნობენ, მკაცრად დაისჯებიან. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაერო-ს უშიშროების საბჭომ რეზოლუცია მიიღო.

დინან რაჩაუ


რეზოლუცია, რომელიც დამოუკი-დებული საგამოძიებო კომისიის შექმნ-ას გულისხმობს, პროგრამის - "ნავთო-ბი პროდუქციის სანაცვლოდ" - ადმინი-სტრაციული ხელმძღვანელობის შემო-წმებას და კონტროლს ისახავს მიზნად.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ თანამდებობის პირების, თანამშრომ-ლების, გაერო-ს აგენტების, ასევე იმ სტრუქტურების, რომლებიც ხსენებულ პროგრამასთან კონტრაქტით არიან დაკავშირებულნი, ნებისმიერი არაკა-ნონიერი ქმედება მიუღებელია და "**გა-ერო-ს უშიშროების საბჭო გამოხატ-ავს სურვილს, უზრუნველყოს ყოვე-ლმხრივი და მიუკერძოებელი გამო-ძიება ერაყის ყოფილი ხელმძღვანე-ლობის, ასევე, მოსყიდვის პრაქტიკის, ქრთამის აღების, გასაყიდ ნავთობზე ფასების გაზრდის და ჰუმანიტარული**

ტირუბის შესყიდვებთან დაკავში-რებით არაკანონიერი გადასახდე-ბის საკითხებში," - ციტატა რეზოლუ-ციიდან.

გადაწყვეტილება დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების შესახებ გაე-რო-ს გენერალური მდივნის მიერ იქნა მიღებული. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ აშშ-ს ფედერალური სარეზე-რვო ბანკის ყოფილი მმართველი პოლ ვოლკერი, ფულის გათიერებასთან ბრძოლის ექსპერტი, შვეიცარიელი მარკ პიკის და საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ყოფილი პროკურორი, სამხრეთ აფრიკის მოქა-ლაქე რიჩარდ გოლდსტუინი.

დამოუკიდებელი კომისიის შემად-გენლობა თვით კოფი ანანმა დაასახე-ლა. კომისიის მთავარი მისია კორუფ-ციული დანაშაულების გამოძიება და მექრთამეობის გაკონტროლება იქნება. ანანის სიტყვებით, პროგრამის ყო-ფილმა ხელმძღვანელმა ბენონ სევანმა განაცხადა, რომ ის მზად არის, წამო-



კოფი ანანი გაერო-ს ბიუროკრატულ მექანიზმს უპირისპირდება.

წყებულ პროექტთან თიანამშრომლოს. გენერალურმა მდიანმა ორგანიზაცი-ის სხვა წევრებსაც მოუწოდა, მსგავსი გადაწყვეტილებები მიიღონ.

შეგახსენებთ, რომ ზემოთხსენებუ-ლი პროგრამა "ნავთობი პროდუქციის სანაცვლოდ" ერაყის დასახმარებლად, კეროდ კი, პირველადი საჭიროების

პროდუქციის შესაქმნელად იყო გამოი-წული. გაერო-ს ამ ნაბიჯის მიზანი მო-სახლეობის მდგომარეობის გაუმჯობე-სება იყო, რაც, უმთავრესად, ეკონომი-კური სანქციებით იყო გამოწვეული.

როგორც ერაყის მმართველთა საბ-ჭოს მრჩეველმა აღნიშნა, იგი გაერო-ს პროგრამით უკმაყოფილოა. მან "ბიბი-სი"-ს განუცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის საშუალებით სადამ ჰუსე-ინს გარკვეული გავლენა გააჩნდა სა-ზღვარგარეთზე. მისი სიტყვებით, "**ერ-აყის ყოფილი ლიდერი მილარდონი დლარას ხარჯავდა უცხოელი დიზენ-სმენების, ჟურნალისტების და ჩინო-ვნიკებისთვის განკუთვნილ ქრთამე-ბზე. მთლიანობაში, მის მიერ, ქრთამე-ბით და უკანონო ნავთობის მოძივებ-ით, დაახლოებით 10 მილიარდი დო-ლარი იყო მითვისებული.**"

გაერო-ს უშიშროების საბჭომ პრო-გრამის დროებითი ადმინისტრაცია, ერაყი და სხვა წევრი ქვეყნები მოიხი-ნა, რათა მათ მოეწყებას, "**გამძიების ჩასატარებლად, სრული მხარდაჭერა და თანამშრომლობა გაუწიონ.**" თუმ-ცა, უშიშროების საბჭოს მრჩეველის კლდე პანქს-დრილმეს განცხადებით, პრობლემა ის არის, რომ ზოგ წევრ ქვე-ყანას კორუმპირებული სქემა მოგებას აძლევდა, ამიტომ, მათთვის ამ პროექ-

ტში მონაწილეობა მომგებიანი არ იქნე-ბა. უცხოური პრესის უკანასკნელი ინ-ფორმაციით, სქემაში უკვე 40-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეები და კომპანიები ჩაერთვნენ.

როგორც გაერო-ს საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა, აშშ-ს ფე-დერალური სარეზერვო ბანკის ყოფილ-მა ხელმძღვანელმა პოლ ვოლკერმა ჟუ-რნალისტებს განუცხადა, "**პირველ რი-გში, განხილული იქნება გაერთიანე-ბული ერების ორგანიზაციის ფარგ-ლებში განხორციელებული კორუფ-ციული დანაშაულები.**" პასუხად, გაე-რო-ს ხელმძღვანელობამ კომისიის წა-რმომადგენლები დაარწმუნა, რომ გა-მოძიებისთვის საჭირო ყველა მასალა მიანდიათ. ვოლკერს ვადების შესახებ არ განუცხადებია, მაგრამ პირობა და-დო, პირველი შედეგები სამი თვის გან-მავლობაში წარმოადგინოს.

ალსანიშნავია, რომ რეზოლუციის მიღება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყება გაერო-სთვის ძა-ლიან მნიშვნელოვან პერიოდს დაემთ-ვა. ეს არის პერიოდი, როცა ორგანიზა-ცია ერაყის პოლიტიკური მომავლის განსაზღვრით აქტიურად არის დაკავე-ბული, ამიტომ, ერაყის მხრიდან წდობ-ის მოპოვება მისთვის მთავარ პირორი-ტეტად გვევლინება.

სარკინიგზო კატასტროფა ჩრდილოეთ კორეაში

ჩრდილოეთ კორეაში, იენჩჰონის სადგურზე აფეთქება საირიგაციო არხ-ის მშენებლობისთვის გათვალისწინე-ბული "დენთის აალების" შედეგად მოხ-და. ამის შესახებ უცხოულ ჟურნალისტ-ებს ფხენიანში ჩრდილოეთ კორეის სა-გარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა. როგორც "როიტერი" აზუსტებს, წინას-წარი ინფორმაციით, დენთი ერთი ვა-კონის მეორეზე გადაბმის მცდელობისა-ს აფეთქდა. სხვა მონაცემებით, ვაგ-ონს გაუმეტებული ელექტროსადენის დეცა, რაც ასაფეთქებელი ნივთიერე-ბის დეტონაციის მიზეზი გახდა. თავდა-პირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფხენიანიდან 50 კილომეტრში მდებარე იენჩჰონის სადგურზე აფეთ-ქება ბუნხიითა და თხევადი გაზით და-ტვირთული მატარებლების შეჯახებამ გამოიწვია.

ჩრდილოეთ კორეამ კატასტროფის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოა-ცხადა. სამხრეთ კორეული სააგენტო "იონჰაპის" გავრცელებული ცნობით, იენჩჰონის მიმდებარე ტერიტორია და-ბომბილის შთაბეჭდილებას ტოვებს. რკინიგზის სადგური მთლიანად დანე-რეულია. კატასტროფის რაიონი შეი-ა-

ლატვიაში რუსი დიპლომატი გააძევა

ლატვიაში, სახელმწიფო უშიშროებ-ის სამსახურების ინფორმაციაზე დაყე-რნობით, რუსი დიპლომატის ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო. ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრ-ოს ცნობით, რუსეთის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის რიგაში საქმიან-ობა საელჩოს მუშაკის დიპლომატიუ-რი სტატუსის შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის მოთხოვნებს არ შეესაბა-

მება. ლატვიის საგარეო უწყებების ბრძანება. თუმცა, შიიტთა ლიდერის დაკავების ოპერაცია, შიიტთა უმაღ-ლესი სულიერი ლიდერების თხოვნით, სამშვიდობო მოლაპარაკებების დასე-რულებამდე გადადებულია. მოლაპა-რაკებათა პროცესი ამ კვირამი უნდა დაწყებულიყო, თუმცა, რატომღაც გა-ჭიანურდა.

დღეს წეჯევი შედარებით მშვიდო-ბიან ადგილად ითვლება. სხვა ქალაქებ-ში კი ბრძოლები გრძელდება. გუშინ ქე-რბელში ამბოხებულებმა პოლიონელ და ბულგარელ ჯარისკაცთა პოზიციე-რზე მიიტანეს იერიში. მათ ორი ჯავშნი-არ მანქანის განადგურება მოახერგეს. კილიტის ძალები დანაკარგების შე-სახებ არ იტყობინებია.

ერაყის შიიტთა ლიდარი იმეაჩრება

ერაყელ შიიტთა ლიდერმა მოქთად ალ-სადამ გუშინ განაცხადა, რომ იმ შე-თხევაში, თუ ამერიკელები ნეჯფში მისი დაკავების ოპერაციის ჩატარებას შეეცდებიან, მათ ასეულობით "მონამე-ობრივი აღსასრულისათვის" მზადმყო-ფი მოჯაჰედი დახდებდა. "მოძებ მოჯა-ჰედები მეუბნებოდნენ, რომ სურთ, მო-ნამეობრივად აღსრულონ. მაგრამ მე მათ ვთხოვე, მოეცადათ. თუ გვაიძუ-ლებენ ამის გაკეთებას და ჩვენს წმინდა ქალაქებს თავს დაესხმიან, ჩვენ ყველა-ნი მტრებისათვის საათის მეკნინზიან მომზებად გადავიქცევით," - აცხადებს ამბოხებულთა ლიდერი.

წეჯეფის მახლობლად დაბანაკე-ბულია აშშ-ს არმიის ქვედანაყოფი, რომელსაც მიღებული აქვს ალ-სადარ-

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და გააღიარების პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონაქურსს

ვააკანტურ თანამდებოგაზ

საქართველოს განათლების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდა-ქმნისა და განმტკიცების პროექტს.

პროექტის ერთ-ერთი განმახორციელებელი ერთეულია ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტი (A1). ქვეკომპონენტის მიზანია ახალი სასწავლო გეგმების მომზადება და მათი დანერგვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს შემდეგი თა-ნამდებობის დასაკავებლად:

ინკლუზიური განათლების ექსპერტი (1 ადგილი) (A1 ქვეკომპონენტი)
ძირითადი მოვალეობანი ექსპერტი: I ეტაპზე - პასუხისმგებელია ეროვნულ სასწავლო გეგმებში ინკლუზიური განათლების ნაწილის მომზადებაზე; - ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სამუშაო გეგმას; - პასუხისმგებელია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის პროექტის მომზადებაზე; - ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან. II ეტაპზე - პასუხისმგებელია მასწავლებელთა დამხმარე მასალების მომზადებაზე; - ქვეკომპონენტის ხელმძღვანელთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან და მათ შედე-გებს ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმების ინკლუზიური განათლების ნაწილის მომზადებაში; - აწარმოებს კონსულტაციებს საპილოტე სკოლების მასწავლებლებთან.
III ეტაპზე - პასუხისმგებელია მასწავლებელთა დამხმარე მასალების მომზადებაზე; - აწარმოებს კონსულტაციებს მასწავლებლებთან და მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში; - პასუხისმგებელია ეროვნული სასწავლო გეგმის დაზუსტებული ვარიანტის მომზადებაზე.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები: - უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება - განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის - სტაჟი (სასურველია დაწყებით კლასებში მუშაობის გამოცდილებაც) - ინკლუზიური განათლების პროგრამებში მონაწილეობა (სასურველია) - კომუნიკაციის კარგი ჩვევები - კომპიუტერის ცოდნა
--

ანგარიშვალდებულება ექსპერტი ანგარიშვალდებულია A1 ქვეკომპონენტის ხელმძღვანელისა და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე. ექსპერტმა A1 ქვეკომპონენტის ხელმძღვანელს და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს უნდა წარუდგინოს ყოველთვიური ანგა-რიშები და საბოლოო ეტაპობრივი ანგარიში სამუშაოს დასრულების შემდგომ.
თვეწითვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) ქარ-თულ და ინგლისურ ენებზე. წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიების მიღება და განაცხადების წარმოდგენა შეგიძლი-ათ შემდეგ მისამართზე: საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი 0102 თბილისი. უზნაძის ქ. N52, ოთახი N102. ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 E-mail: GEP@wanex.net საკონტაქტო პირი: ქ-ნი ეკა ეზუგბაია

განაცხადებების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 30 აპრილი.

შენიშვნა: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები; ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შესარულოს საიჯარო სამუშაოები.

საქველმოქმადო აქსია "იქიბანა" სალონში

მარბლის თექვსმეტ ნომერში მდებარე პატარა სალონი "იკებანა" გუშინ უამრავ დამთვლიერებულ მასპინძლობდა. გამოფენა-გაყიდვაზე ფოტონამუშევრები, აპლიკაციები, ბატიკის, ფერწერის, თიხისა და მინანქრის ნიმუშები იყო წარმოდგენილი. მათი ავტორები ამერიკული აკადემიის სტუდენტები და მოუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის "შომავლის სახლის" აღსაზრდელები იყვნენ.

თამარ დვალაი	
	
ათი წლის მარიამს, რომელიც მოუსაფარ ბავშვთა სახლში თავის დასთან ერთად ცხოვრობს, გუშინ პირველი გამოფენა ჰქონდა. ხელო-	

ვნებასთან მისი ზიარება ცოტა ხნის წინათ სრულიად მოულოდნე-

უანგარო სიკათისა და მაღალი პროფაციონალიზმისთვის

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა გუშინ "ოქროს ფრთის" ახალი ლაურეატები დაასახელა. ესენი გახლავთ: საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოსი; CNN-ის მოსკოვის ბიუროს კორესპონდენტი რაიენ ჩილკოტი; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსების ორდენის კავალერი ციცო ჯაფარიძე; ტელეკომპანია "იმედის" საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დირექ-

ტორი, ტელეპროგრამა "დროების" ავტორი და წამყვანი გიორგი თარეამაძე; გაზეთ "24 საათის" მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი; ჟურნალისტი ლამარა კიკილაშვილი; CNN-ის ოპერატორი ალექსი ბელოვი; მსახიობი გიორგი როინიშვილი. ეს ჯილდო ქველმოქმედებმა "უანგარო სიყვარულისთვის, ჟურნალისტებმა კი მაღალი პროფესიონალიზმისთვის მიიღეს, - ითქვა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე.

24 საათი

ტყვის ჭრაზა მორატორიუმი ცხადდება

სატყეო დეპარტამენტის ახლად დანიშნულმა თავმჯდომარემ ბიძინა გიორგობიანმა გარემოს დაცვისა და ზუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეებთან ერთად გუშინ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებს სატყეო სექტორში დაგეგმილი ახალი ინიციატივები გააცნო. როგორც ბიძინა გიორგობიანმა განაცხადა, უხსლოეს მომავალში ყველა სახის ჭრებზე ერთთვიანი მორატორიუმი გამოცხადდება. " მორატორიუმის გამოცხადება აუცილებელი და გარდაუვალია, რადგან საქართველოს ტყეებში უმართავი და სავალალო მდგომარეობა შექმნილი, ტყეები გაჩანახლების პირასაა", - აღნიშნა მან. მინისტრის მოადგილის ირაკლი მაჭარაშვილის განმარტებით კი, მორატორიუმის განმავლობაში ჩამოყალიბდება ახალი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებსაც საქართველოს მთავრობა განიხილავს. ასევე, დაგეგმილია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება, რომლებიც ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს. მისივე ინფორმაციით, ჭრებზე აკრძალვის გამოცხადების შემდეგ ჩატარდება საგაზაფხულო

რევიზიები. "მისათვის, რომ ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს ობიექტური, უნდა გვექონდეს წათელი სურათი იმისა, თუ რა მდგომარეობაა თითოეულ სატყეო მეურნეობაში", - აღნიშნა მაჭარაიანმა. ახალ ინიციატივებზე ისაუბრა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი იმნაძემაც. მისი თქმით, ჭრებზე კონტროლის დასანუსებლად დაინერგება ახალი ტექნოლოგიები. როგორც იმნაძემ აღნიშნა, დაგეგმილია სატყლიტური სიგნალზაციის შემოტანა, რომელიც კონტროლს გაუნეჭს ყველა სახის ჭრებს. "ზე-ტყის გაჩანახლების თავიდან ასაცილებლად, ასევე, აუცილებელია რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკების გამართვა და ამ ქვეყნიდან ზე-ტყის იმპორტის წარმოება. ამ გზით წმინშენლოვნად დაიკლებს ხეების არალეგალურად გაჩეხვა", - განაცხადა იმნაძემ და დასძინა, რომ ამ ინიციატივის განსახორციელებლად აუცილებელია საბაჟო გადასახადების მინიმუმამდე დაყვანა. ბიძინა გიორგობიანის განცხადებით კი, ჭრებზე მორატორიუმი საქართველოს მთავრობის დადგინლების საფუძველზე დანესდება.

ინტერ-პრესი

ორი სიხვიით

თბილისი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომიაის განცხადებით, ქალაქისთვის, სოფელშიათის და მაღალშიახი რაიონებისთვის საქართველოში სხვადასხვა სტანდარტი ჩამოყალიბდება. ქალაქის სკოლების დაფინანსება შედარებით დაბალი იქნება. სკოლის პროგრატეტებსა და მათი დაფინანსების ბიუჯეტს კი სკოლის დირექტორი განსაზღვრავს. **ინტერ-პრესი**

თბილისი. გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დანყებით კლასებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გარკვე, რომ მოსწავლეთა 50 პროცენტზე ნერა-კითხვის უნარ-ჩვევებს ვერ ფლობს. "ამ შედეგებით მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გბრუნდებით", - შემოფთიებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომია. **მედია-ნუსი**

თბილისი. ისანი-სამგორის რაიონის გამგებების გადაწყვეტილებით, მიმდინარე თვეში რაიონში მცხოვრებ 380 უმწეო ოჯახს ერთჯერადი დახმარება დაურიგდება. დახმარებას, რომლის ოდენობა 30-დან 200 ლარამდეა განსაზღვრული, ამ კატეგორიის ოჯახები წელს პირველად მიიღებენ. ამ კატეგორიის ოჯახებისთვის წლის განმავლობაში 15 000 ლარი იქნა გათვალისწინებული. **ინტერ-პრესი**

თბილისი. საერთაშორისო ორგანიზაცია "ქუნთერ ფართის" დახმარებით, ისანი-სამგორის რაიონის გამგებმა 500 ჩვილს საჩუქრად ჰიგიენურ ნაკრებს გადასცემს. ჰიგიენურ ნაკრებებთან ერთად მრავალშვილიანი და გაჭირვებული ოჯახები საჩუქრად საბავშვო საბუნბაც მიიღებენ. როგორც გამგეობაში განმარტებენ, საჩუქრებს პატარებს რაიონის გამგეობაში სამშაბათს გადასცემენ. **ინტერ-პრესი**

საფუძველზე

შესაძლოა, გაღა 18 ოჯახი უბოხოდ დარჩას

არასამთავრობო ორგანიზაცია "საფუხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვესმინოთ და დავეხმაროთ მათ.

თინათინ ასათიანი	
	
რუსთაველის გამზირზე, ოპერის გვერდით, 23 ნომერში დიდი სახლი დგას, რომელშიც, დაახლოებით, 18 ოჯახი ცხოვრობს. მათი საცხოვრებელი, დიდი ხანია, ავარუილია, სახლი III კატეგორიის დაზიანებულია მიიჩნიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შენობა რემონტს არ ექვემდებარება.	
სამსართულიანი სახლი, რომელიც ქალაქის ცენტრში დგას, ინგრევა. სანამ დაინგრება, იქ ბევრი სხვა პრობლემაცაა. სახლს სახურავი არ გააჩნია, რის გამოც, მცირედ და პირველ სართულეს ჭერი ჩამოენგრათ.	
"როცა ძლიერი წვიმაა, ტაშტებით ესხმდებიან და გადაღებია ველოდგენ", - ამბობს მცირე სართულის ბინადარი ზინაიდა ჭელიძე. ის საუენისო	

ასაკისა და მხოლოდ 17 ლარზე უხდება ცხოვრება; ჰყავს გაფიშვილი, მესამე კატეგორიის ინვალიდი, რომელსაც გლავუკმა აქვს და კარგად ვერ ხედავს. იგი რომ რესტორანში მიმტანად არ მუშაობდეს, ალბათ, შიმშილით დაიხოცებოდნენ - სახლში წვეულებებიდან მორჩენილი საჭმელი მიაქვს, რაც ოჯახს შიმშილის პრობლემას უხსნის.

ქალბატონი ზინაიდა, დაახლოებით 20 კვადრატული მეტრის ფართის ოთახში შვილთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. მათ არ აქვთ არც საკუთარი ტუალეტი, არც სამზარეულო - მეორე სართულის ბინადრები საერთო ტუალეტითა და სამზარეულოთი სარგებლობენ. "აბაზანაზე ხომ, საერთოდ, ლაპარაკიც ზედმეტია", - სიცოილი ამბობს ქალბატონი ზინაიდა.

ამ პრობებში ყოფნაც არ იქნებო-

ის ღამე თეთრად გაათენა და დილით ფერადი ფიგურებისაგან აწყობილი მიიგი მასწავლებელს აჩვენა. ეს იყო მისი პირველი ნამუშევარი და შემოსავლის პირველი წყაროც - მიიგი ხუთ ლარად გაიყიდა.

მარიამის მსგავსად, საკუთარი შრომით თავის რჩენას ამ სახლის სხვა ბინადრნიც მიეჭვივნენ. ახლამათ შეუძლიან, საკუთარი ხელოვნებით სურვილები ნაწილობრივ მაინც აისრულონ. 17 წლის პავლე ნეფედოვი თავდაპირველად რადიოტექნიკის სახელოსნოში დადიო-

ვბრუნდები სულიერად ამაღლებული

გუშინ დასრულდა ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის, უნეტარესი ჰერმანეს ერთკვირიანი ვიზიტი საქართველოში. მოსწავლეთა სასახლეში დაგეგმილ პრესკონფერენციაზე მისი უნეტარესობა პირდაპირ ხალხური ცეკვისა და სიმღერის კონცერტიდან მივიდა, რომელიც მაღალი სტუმრის პატივსაცემად იქვე სარკეებიან დარბაზში გაიმართა.

"შუძლებელია, გადმოგვცეთ ის გრძნობა, რაც ჩემს გულშია, მაგრამ ერთი რამ დანამდილებით ვიცი, აშშ-ში სულიერად ამაღლებული ვბრუნდები და გარწმუნებთ, რომ ჩვენ მუდამ ვილოცებით თქვენი დიდი ერის საკეთილდღეოდ", - განაცხადა მისმა უნეტარესობამ, რომელმაც პარალელი გაავლო ორ ეკლესიას, ორ ჰომიდეგნტსა და ორ ქვეყანას შორის. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ყველაურის შესახებ, რაც საქართველოში ხაზა - დიდებული ეკლესიანონასტრები, სტუმართმოყვარე

და, თუმცა მინანქრის ხელოვნება უფრო იზიდავდა და ერთი სახელოსნოდან მეორეში გადაინაცვლა. გამოფენაზე მას ვერცხლში ჩასმული ულამაზესი მინანქრის სამკაულები ჰქონდა წარმოდგენილი.

ამერიკის აკადემიის სტუდენტმა საკუთარი ლექსებით გაფორმებული ფოტონამუშევრები გამოფინეს. სალომე თოფურია თვითნასწავლი ფოტოგრაფია. იგი ფოტოსელოვნებით რამდენიმე თვის წინათ დაინტერესდა; მანამდე თავის ხუთ ამხანაგთან ერთად როკ-



"ამერიკის მიტროპოლიტი" - ორი მღვდელმთავრის პრესკონფერენცია.

ბერ-მონაზვნები, როგორც მანტაძანა - ღვთისშვილები, რომლებიც აღსავსენი არიან ღვთისმოსაობით. უნეტარესმა ჰერმანემ განსა-

პარვარდი საქართველოში!

იმის შესახებ, თუ როგორ დაუდო საფუძველი დღენაკულმა პანია კარინამ ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს და ჰარვარდის სამედიცინო სკოლის თანამშრომლობას

"საქართველოში ცხოვრობთ? რა ბედნიერი ხართ!"... თავად ამერიკაში, ბოსტონში ცხოვრობს. ის ჰარვარდის სამედიცინო სკოლის პროფესორის თანამშეწეა ორთოდედულ ქირურგიაში. თამი მარტინს თავი იძიათ მოსწონს, რომ ქართველი სახელი თამარა ჰქვია. თელის, რომ ეს სულაც არ არის შემთხვევითი. თამის მთავარი სიმიდრე კი მისი შვილებია. ხუთი შვილი ჰყავს - სამი ბიოლოგიური და ორიც ქართველი, წლინახევრის ტყუპები.

თიკო ცომაიი

თამი საჩქაროდ იღებს ჩანთიდან ფოტოებს. ბავშვების სურათებს გათვალისწინებს. ფოტოებიდან მიყურებენ კარგად მოვლილი ქართული სახეები, რომელთაც ადვილად გამოაირჩევ ამერიკელად და-ძმების სახეებისგან. "რატომ გადაწყვეტთ ბავშვების შეილება?" - ვეკითხები. **"იმიტომ, რომ მე და ჩემს ქმარს ძალიან გაცივარს ბავშვები"**, - მპასუხობს.

ბავშვების სიყვარულმა თამი საერთაშორისო გამშელების სამედიცინოსთან მიიყვანა. არჩეული ქართველ ბავშვებზე შეაჩერა. იმ დღიდან თამიმ საქართველოზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყო; გაცნო საქართველოს ისტორიას და შეიყვარა ის. **"მე მიყვარს ჯვარი და სიონი, ქართველი ხალხი. ჩემი ოცნებაა, ოჯახთან ერთად საქართველოში ვიცხოვრო"**, - ამბობს თამი.

ამჯერად თამი საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდა რობინ საიზემორთან ერთად. თამის მსგავსად, ბავშვის შვილებისათვის მანაც საავტნობს მიმართა და პირველად ცხრა წლის წინათ, დეკემბერში მოხვდა საქართველოში. რობინი ახლა ორ ბავშვს ზრდის. კარინა რვა წლისაა, თორნიკე კი - ხუთის. ისინი ამერიკაში ცხოვრობენ. ორივემ იცის, რომ საქართველოდან არიან. საიზემორების ოჯახში ორ მშინშენლოვან დღესასწაულს აღნიშნავენ - ბავშვების დაბადების და I got you day-s - ბავშვების ოჯახში მოყვანის დღეს.

1995 წლის დეკემბერში, საერთა-

თანამაზრეებიც გამოუჩნდნენ და გაზაფხულზე საქართველოში ჩამოსულ რობინსა და თამის თანატოლები სთვის საჩუქრები და საჭირო ნივთები გამოიტანეს.

საქართველოს მზრუნველობაში-კლებული ბავშვების დახმარების გეგმაში რობინმა და თამიმ ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოც შეიყვანეს და მის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი გეგემებით იძაუჭეს. ამ სტაციონარის ახლა, რესპუბლიკურის ნაცვლად, ს.ს.მ. იამვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო ჰქვია და, როგორც რობინი ამბობს, ერთადერთი ცვლილება ეს არ აღმოჩნდა.

"შუადრებელია ის, რაც აქ დამხვდა, - აღნიშნავს რობინი, - იმდენი რამ არის შეცვლილი და გაკეთებული... საავადმყოფოს დირექტორი ირაკლი განსაკუთრებული ადამიანია. ის ზრუნავს ბავშვებზე და მათი ჭეშმარიტი ინტერესების დამცველია. ამიტომ, გეგმების განხორციელება ჩვენ ამ საავადმყოფოში გადაეწყვიტა". როგორც თავად ამბობენ, ნდობის ფაქტორი რობინისა და თამისათვის განმსაზღვრელია. ძალიან ხშირად დახმარების განცევის სურვილი, სწორედ ნდობის არარსებობის გამო, დარწმინლა განუხორციელებელი. მომავალი თანამშრომლობა დაიგეგმა.

რადგან ბოლო ხანს მრავლობითი ტრამეებით ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, გადაწყდა ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სპეციალისტებით ან ერთად პედიატრიულ-ორთოპედიული სამსახურის განვითარება. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო მუქტიპლურად არის. აქ, თითქმის, ყველა სერვისია, გარდა ორთოპედიისა. **"როცა ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ორთოპედიულ კლინიკაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, რომ საქმე ვაჟებს ხარისხთან. სახელის**

რინა ჯაფარიძე პროფესიით ექიმი. მისთვის ხელოვნების სფეროში მოღვაწეობა მეორე პროფესიად იქცა. იგი ამ გამოფენის მთავარ მიზნად მიიჩნევს ამერიკული აკადემიის მოსწავლეთა და მოუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ "შომავლის სახლის" აღსაზრდელთათ ერთმანეთთან დაახლოებას. გამოფენაზე გუშინ გაყიდული ნამუშევრებისა და შემოწირული თანხის დიდი ნაწილი სწორედ "შომავლის სახლის" აღსაზრდელებს გადაეცემათ.

დები, ვეტყვი მათ, რომ საქართველოში ვნახე ის, რასაც ველოდი".

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის ვიზიტის მშინშენელობა სცილდება ეკლესიის ფარგლებს და ორი ერისა და ქვეყნის დაახლოებასაც ემსახურება.

"განვიხილოთ მომავალი ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის და მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირი, მჭიდრო საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობები. მისმა უნეტარესობამ ჩვენ დიდი ერი გვიჩოდა. საუბარია ჩვენი ისტორიულ, სულიერ და კულტურულ ტრადიციებზე. ამ კუთხით, ამერიკელებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ საქართველოში", - ბრძანა პატრიარქმა, რომელმაც უნეტარესი ჰერმანესაგან საპასუხო მინვევა უკვე მიიღო.

24 საათი

უკან მაღალი გარანტიებია. ძალიან ამაყები და ბედნიერები ვართ, რომ ჰარვარდთან ერთად ვინცებთ მუშაობას", - აღნიშნავს საავადმყოფოს გენერალური დირექტორი ირაკლი სასანია. ორთოპედიული სამსახურის განვითარებისათვის საავადმყოფოში მშინშენელოვანი ბაზა არსებობს: კარგად არის განვითარებული ინფერასტრუქტურა, რაც თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ საოპერაციო ბლოკებად მოიცავს. თამი მარტინის ინფორმაციით, ტექნიკური დახმარების გარდა, პროექტი ექიმების გაცვლასა და ტრენინგების უწყვეტ რეჟიმში ჩატარებასაც გულისხმობს. მომავლისათვის დაგეგმილია პლასტიკური, ყელის, ყურისა და ცხვირის ქირურგიის განვითარებით აღჭურვილ საოპერაციული სპეციალისტები ჩაატარებენ ოპერაციებს, შემდგომ კი - დახლოვნებული ქართველი ქირურგები.

"ეს არ არის ჰარვარდთან ჩვენი ერთადერთი შესხება, - დასძენს ბატონი ირაკლი, - პირველ პროექტს წლინახევრის წინ ჩაეყარა საფუძველი ჰარვარდის სამედიცინო სკოლის პედიატრიის პროფესორთან დევარდ ო' როუკთან ერთად. პროექტი ითვალისწინებს საზაფხულო პრაქტიკის ციკლს, რომლის დროსაც ჰარვარდის სამედიცინო სკოლის პირველ და მეორეკურსლებში საავადმყოფოში სიანტერესო შემთხვევებს ნახავენ, გაიზიარებენ აქაურ გამოცდილებას. სტუდენტები კვლევებშიც მიიღებენ მონაწილეობას - ადგილობრივი მონაცემების მიხედვით, დამუშავებენ თემებს ეპიდემიოლოგიასა და სტატისტიკაში. შემდგომ ეტაპზე რეზიდენტების ჩამოსვლაც იგეგმება. იმედია, საავადმყოფოს თანმშრომლებმა ჰარვარდთან კიდევ უფრო მჭიდრო და მრავალფეროვანი გახდება".



ჭელიძების ოჯახს ქუჩაში დარჩენა ემუქრება.

- ჟურდლებს მანამდე არავინ მოგვაცეცს, ვიდრე ამ სახლში ვინმე არ მოკვდება. აიღონ ეს ფართი და სადმე გაგ-

ვიყვანო. რუსთაველის 23 ნომერი ქალაქის შუაგულია და ამ ტერიტორიის დაპატრონება სახელმწიფოს, ნესით,

ხელს უნდა აძლევდეს. ასეც რომ არ იყოს, იქ ცხოვრობს 18 ოჯახი, რომელთა ნევრების სიცოცხლე საფრთხეშია. შენიშვნა: სტატიის შინაარსი დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო ინტერვიუზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, ისტორიებს, თუ პრობლემებს, რის შესახებაც თავად რესპონდენტი საუბრობს. პროექტის მიზანია, მისცეს შესაძლებლობა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, თავიანთი პრობლემების შესახებ ამცნონ საზოგადოებას. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში არ შედის რესპონდენტის მიერ მოთხრობილი ფაქტებისა და პრობლემების სხვადასხვა დონეზე გადმოწმება.

P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს ნანა ბარამიძეს. მობ: 893 32 44 41 ან ელფოსტაზე ოფისით მისამართზე: stagesngo@hotmail.com

საქართველოს ხელისუფლებაში ცხინვალის გუბინას გადაკვეთა

პირველი გვერდი

სტრალის დასრულებისთანავე, სოფელ თამარაშენის დასაწყისში, თვალში მოგვხვდება ქართული ასოებით გამოყვანილი აზრა - "სამ-ჭედლო", "ქართული პური" და იქვე გამოკრული დიდი პლაკატი - "მი-ხეილ სააკაშვილი ჩვენი პრეზი-დენტია".

თუ ცხინვალის ქუჩებში მოსია-რულენი საქართველოს ხელისუფ-ლების წარმომადგენელთა ექსკ-ორტს უყურადღებოდ ტოვებდნენ, უკვე თამარაშენში მას ემოციური მიღება მოუწყვეს.

"მოდით, შეილო, ეს კუთხე თქვენია, ცხინვალის საქართვე-ლოა. 12 წელიწადია, არავის გავხ-სენებიათ, არავის უფიქრია ჩვენზე, მითვებულები ვიყავით და ერთი თვის წინ, მოულოდნელ-ად, ჩვენი პრეზიდენტი ჩამოვიდა, დიდი იმედი გავვიჩნდა, სიტუა-ციაც შეიცვალა. თუ აქამდე ცხი-ნვალში შესვლასაც კი ვერ გზე-დავდიოდ, ახლა უკვე თავისუფლ-ად გადავდივართ. თამარაშენი, ქუთა, ერეფი - ეს ის სოფლე-ბია, რომლის მოსახლეობაც ომის მსვლელობისას ყველაზე აქტიუ-რად იბრძოდა და რომლებიც ძა-ლიან დაზარალებულნი. ჩვენ, ოსები და ქართველები შევრიდით, ვა-პატივით ერთმანეთს, ახლა საქარ-თველოს პრეზიდენტზე დამოკი-დებული ყველაფერი. ასე ფიქრ-ობს აქ მცხოვრები ყველა ქარ-თველი," - აცხადებს 80 წლის ერეფ-ელის სერგო მურგადაშვილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გია ბარამიძის ინიცია-ტივით, გუშინ დიდი და პატარა ლი-ახვის ხეობაში ჩატარებულმა ლო-ნისძიებამ, რომელიც პოლიტიკური შტრიხებით იყო დატვირთული, წა-რმატებულად ჩაიარა. შინაგან საქ-

მეთა სამინისტრომ ქართულ-ოსე-რი კონფლიქტის ზონაში მოქმედი ქართული პოლიციის დანაყოფების გაძლიერება დაიწყო. შინაგან საქ-მეთა მინისტრმა გია ბარამიძემ დი-დი და პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ პოლიციის დანაყოფებს საჩუქრად გადასცა "ვილისის" მა-რკის მანქანები, ჯავშანფორთხები და სხვა აღჭურვილობა. გარდა ამი-სა, შს მინისტრის ბრძანებით, ქურ-თისა და ერეფის პოლიციის დანა-ყოფებს 64 ახალი თანამშრომელი შეემატა და გუშინვე ფრონის ხეო-ბაში პოლიციის ახალი ქვედანაყო-ფიც შეიქმნა, სადაც 19 პოლიციე-ლი იმსახურებს.

"ეს არის საქართველო, მისი განუყოფელი ნაწილი და პირობას გაძლევთ, რომ დავიცავთ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვ-ნებისა, რელიგიური მრწამსისა, სქესისა და პოლიტიკური შეხე-დულებისა. ყველასთვის გასაგები მომენტია, რომ ამ რეგიონში პო-ლიტიკა და კრიმინალი ერთმანე-თიანაა გადაჯაჭვული. პოლიტი-კური მოლაპარაკებები დანერგუ-ლია და მას სერიოზული შედეგი აუცილებლად მოჰყვება. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის ძა-ლისხმევას პირველი შედეგი მოჰ-ყვა - რეგიონში მშვიდობა აღდგა და ეს პროცესი თითოეული ჩვენ-განის მონაწილეობით გაგრძელ-დება მანამდე, სანამ სასურველ მიზანს არ მივაღწევთ," - ასეთი პირობა მისცა დიდი და პატარა ლი-ახვის მოსახლეობას საქართველოს შს მინისტრმა. სხვათა შორის, პო-ლიტიკური მოლაპარაკებების შე-დეგი გახლდათ ისიც, რომ ქუთოსი პოლიციის ეზოში გია ბარამიძეს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქ-მეთა მინისტრი ეწვია. **"გამთლია-ნების მოხარული ვარ,"** - ასეთი სამადლოელი სიტყვებით მიმარ-



„Lხიუაილ“ - ქერქერობით საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებადი ტერიტორიაა.

თა მან საქართველოს შს მინისტრს. **"პანკისის ხეობა ზღაპარია იმასთან შედარებით, რაც კონფ-ლიქტის ზონაში ხდებოდა. თუ წლების წინ აქ მკვლელობები, ძი-რითადად, შურისძიების საფუძ-ველზე ხდებოდა, მოგვიანებით დანაშაულმა ორგანიზებული ხა-სიათი მიიღო. რეგიონში მოქმე-დებდა ცნობილი კრიმინალი "მა-რკვა" და მისი დაჯგუფებები. ის ყოფილი ბოვიკი იყო, მისი ჯგუ-ფები აკონტროლებდნენ როკის გვირაბს, ერგანეთში მიმავალი ტვირთიდან წილს იღებდნენ, გაჭ-რობდნენ გატაცებული მანქანებ-**

ით, ერთი სიტყვით, რას არ აკეთე-ბდნენ, ძალიან საშიში ჯგუფი იყო, მაგრამ "მარკვას" ეპოქა და-სრულდა. თუმცა, აქ კიდევ მოქ-მედებენ ოსურ-ქართული, შერე-ული ჯგუფები, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეულები. რა თქმა უნდა, მათ ცხინვალში სე-რიოზული შეარევლები ჰყავთ, რადგან მათ გარეშე ასე ღიად ვერ იმოქმედებდნენ," - აცხადებენ ადგილობრივი მოსახლეობის წარ-მომადგენლები, რომელთა ყოფა

იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ საპროტესტო აქციებს ლაშის ყო-ველდღიურად აწყობდნენ და რე-გიონის გამწვანდი, ანტიკრიმინა-ლური ოპერაციის ჩატარებას ითხოვდნენ.

"აყაჩაღებენ ქართულ ოჯახ-ებს, იტაცებენ ავტომანქანებს. კრიმინალთა თავდასხმების შე-დეგად, უკვე ათასობით უდანაშა-ული ადამიანია მოკლული, არა-და, ისი სამართალდამცველები აქ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს არავის აგებინებენ."

"ოსური დანაშაულებრივი და-ჯგუფების წევრებმა იქაურ სახე-

სულხან მოლაშვილი ორთაქალის იზოლაციაში

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - ეს ის ბრალდება გახლავთ, რომელიც კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, უკვე იმუნიტეტმოხსნილ სულხან მოლაშვილს თბილისის პროკურატურამ წარუდგინა და რომელიც სამიდან რვა წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ყოფილი მაღალჩინოსნის მიმართ წაყენებული ბრალდების საფუძველზე პროკურატურამ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ბრალდებულ მოლაშვილისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვინი პატიმრობის შეფარდება მოთხოვნა. პროკურატურის ეს მოთხოვნა სასამართლომ გუშინვე, რამდენიმე საათიანი დახურული სხდომის ბოლოს დააკმაყოფილა. თავად მოლაშვილი გუშინ სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა. როგორც სასამართლოს შენობის წინ შეკრებილი მისი მეკობრეები აცხადებდნენ, მოლაშვილი ემოციურ დატვირთვას განიცდის და ამჯობინა, პროცესზე არ გამოცხადებულიყო.

ხატუნა ჯანგირაშვილი

იმ დროს, როცა მოსამართლე მოლაშვილისთვის წინასწარი სამ-თვინი პატიმრობის შეფარდებას საკითხს წყვეტდა, მოსამართლის მიერვე გაცემული სანქციის საფუ-ძველზე, სამართალდამცველები ყოფილი მაღალჩინოსნის საცხოვ-რებელ სახლს ჩხრეკდნენ. ქალაქის პროკურატურის გამოძიებლები მოლაშვილის წავისის აგარაკსაც მიაღწენენ, თუმცა იქ შეღწევა იმ უბრალო მიზეზის გამო გაჭირდა, რომ აგარაკი მოლაშვილის სახელ-ზე არ არის გაფორმებული. საკუთარი ფეხით ქალაქის პრო-კურატურაში მისული, შემდეგ - წი-ნასწარი დაკავების საკანში, ბოლ-ოს კი მეხუთე იმპერატორმა გადაყ-ვანილი კონტროლის პალატის ყო-ფილი თავმჯდომარე, როგორც მი-სი ადვოკატს აცხადებს, წარდგენ-ილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ

არ ცნობს, დუმილის უფლებით სარ-გებლობს და დაკავებას პოლიტი-კური მოტივით ხსნის. თუმცა, ად-ვოკატი გვარწმუნებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიებას ჩვენებას აუცილებლად მისცემს.

უღალატებს თუ არა საკუთარ სიტყვებს ბრალდებული მოლაშვი-ლი - "არავისთან გარიგებაზე არ წავალ და ყოფილ და ახლანდელ თანამდებობის პირებზე ჩემს ხელთ არსებულ სერიოზულ კომპ-რომატებს გაეაშფაღენებ"-ო, წინა-სწარ ძნელი სათქმელია. ყოველ შე-მიხვევაში, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, იმუნიტე-ტმოხსნილ სულხან მოლაშვილს 2000-2003 წლებში კონტროლის პა-ლატის მუშაობის შესახებ გამოძიე-ბის მიერ დასმულ კითხვებზე პასუ-ხის გაცემა აუცილებლად მოუწევს. გამოძიება მოლაშვილს სამი წლის მანძილზე (კონტროლის პა-ლატის თავმჯდომარის პოსტზე მუ-შაობის პერიოდში) ბოუჯეტისთვის



სულხან მოლაშვილი თავდაცვისთვის ემზადება.

რამდენიმე ათეული ათასი ლარის ზარალის მიყენებას ედავება. სულხან მოლაშვილის ბრალდე-ბაში სამი მიმართულებაა: პირვე-ლი - როგორც გამოძიება ირწმუნე-

ბა, მისი ხელმძღვანელობის პერი-ოდში კონტროლის პალატა ისეთ ორგანიზაციებს ამონებდა, რომე-ლის შემონმების უფლება არ ჰქონ-და; მაგალითად, სააქციო საზოგა-

დობებსა და სხვა იურიდიულ პირ-ებს, სადაც სახელმწიფოს 51 პრო-ცენტზე მეტი წილი ჰქონდა. ბრალდების მეორე ეპიზოდის თანახმად, კონტროლის პალატის შემონმების მასალები არ ეგზარტ-ბოდა სამართალდამცავ სტრუქ-ტურებს. გამოძიება მიიჩნევს, რომ 6000-ზე მეტი შემონმებული მასა-ლიდან პროკურატურაში 930 მასა-ლის გადაგზავნა დაბალი მაჩვენე-ბელია.

ბრალდების მესამე ეპიზოდი შემონმებული უწყებების მიერ და-კისრებული თანხის - 30 პროცენტ-ის - კონტროლის პალატის ანგარი-შზე პირდაპირ ჩარიცხვას ეხება, რაც, პროკურატურის აზრით, უკა-ნონო იყო. თანხა კონტროლის პა-ლატის ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით უნდა მოხვედ-რილიყო. ქალაქის პროკურორის, ვალერი გრგვალაშვილის განმარ-ტებით, კონტროლის პალატის სპე-ცსახსრებზე ამ გზით სულ 161 000 ლარი მოხვდა და პროკურატურა მიიჩნევს, რომ ამის გამო სახელ-წიფო ბიუჯეტმა 37 ათასი ლარით იზარალა.

"კონტროლის პალატა მოლა-შვილამდეც ამონებდა სანარმო-ებს, სადაც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტს აღემატებოდა. ასე-თი სანარმოს ხელმძღვანელი თა-ნამდებობის პირად ითვლება და კონტროლის პალატა არაფერ უფ-ლებამოსილი, არამედ მოვალეა, ასეთი ორგანიზაციები შეამონშ-ოს. რაც შეეხება შემონმებული მასალების პროკურატურაში გა-

უგზავნელობას, ეს აბსტრაქტუ-ლი ბრალდებაა და გაუგებარია, რა პრინციპებით ხელმძღვანე-ლობს პროკურატურა, როდესაც მოლაშვილს ამ დანაშაულს ედა-ვეება," - აცხადებს სულხან მოლაშ-ვილის ინტერესების დამცველი. კონტროლის პალატის ანგარიშზე თანხის პირდაპირ ჩარიცხვამ მო-ლაშვილის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალს ვერ ხედავს. **"კონტროლის პალატის თავმჯ-დომარეს მსგავსი საკითხები არ ეხება. გარდა ამისა, კონტროლის პალატა მის ანგარიშზე ჩარიცხუ-ლი თანხის განკარგვას მანამდე არ იწყებდა, ვიდრე დაბეგრული ორგანიზაცია სახელმწიფო ბიუ-ჯეტში თანხის 70 პროცენტს არ გადარიცხავდა და ამის თაობაზე საგადასახადო ინსპექციამდე კო-ნტროლის პალატაში შესაბამისი დოკუმენტი არ მივიღოდა,"** - ასე-თი არგუმენტებით პასუხობს გა-მოძიების მიერ მოლაშვილისთვის წარდგენილ ბრალდებებს ადვოკა-ტი შალვა მაგვულაძე. **"პროტესტის ნიშნად, ვტოვებ შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს,"** - ეს განცხადება სულხან მოლაშვილის ძმამ თორნიკე მოლა-შვილმა გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ეზოში გააკეთა. **"თუ საჭირო გახდა, სიტარსბურგის სასამართლოსაც მიგმართავ იმის მიზნით, რომე-ად, რომ სულხან მოლაშვილისა-დმი წაყენებული ბრალდება პო-ლიტიკური დაკვეთაა,"** - აცხად-ებს ბრალდებულის ძმა.

პოლიციის შიგნით თავს იწონებს

პოლიციის მთავარი სამმართვე-ლოს შიგნით ლევან მაისურაძე ბოლო დღეებში მისი ქვეშევრდომების მი-ერ განუელი მუშაობით უზომოდ კმაყოფილია და საგანგებო პრიფ-ინგს იწვევს ამ მუშაობის შედეგების გამოსამყვანებლად. ეგრეთ წოდე-ბულ კანონიერ ქურდებთან, ნარკო-დანაშაულთან და ყაჩაღურ დაჯგუ-ფებებთან ბოლოდროინდელ ბრძო-ლას ლევან მაისურაძე "შედეგანის და წარმატებულს" უწოდებს.

სამართალდამცველთა ერთ წოდებულ შავ საიში ცნობილი ნარ-კოტრეალიზატორი ალექსანდრე ფეა-ნია, მეტსახელად - "მეგრელი ალიკ-ა" მოხვედრილა. მაისურაძის თქმით, სამართალდამცველებმა ნარ-კოტრეალიზატორი "მეგრელი ალიკ-ა" დოლიძის ქუჩაზე დააკავეს და მას პირადი ჩხრეკისას ნარკოტრა-ციოდ გამოადგებული 0,19 გრამი სუ-ბოტექსი უპოვეს. თბილისის პოლი-ციის მთავარ სამმართველოში სა-კუთარი ფეხით მისულა თბილისელი სერგო ცერცვაძე, პოლიციისთვის ნებაყოფილად ჩაუბარებია 0,05 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება

სუბოტექსი და უღიარებია, რომ ნარ-კოტრეალი საშუალება 60 დოლა-რად დოლიძის ქუჩაზე, ვინმე ალიკა-სგან შეიძინა.

ლევან მაისურაძის ინფორმაცი-ით, ინფექციურ დაავადებათა რეს-პუბლიკურ საავადმყოფოში სამძებ-რო სამმართველოს თანამშრომლე-ბმა ნარკოტიკის მოხმარების ფაქტ-ზე დააკავეს წარსულში ადამიანის გატაცებისთვის რუსეთში ნასამარ-თლევნი ავტორიტეტული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი უშანგი გოდე-ლიძე - "უჩა", რომელსაც დაკავები-სას შეროინი უპოვეს ჯიბეში.

გუშინ, დილით, სამართალდამც-ველებს დედაქალაქში მოქმედი ბიზ-ნის ქურდების თანამშრომელი ჯგუ-ფის წევრებიც დაუკავებიათ, რომ-ლებსაც 100 ცალამდე თვითნაკეთი ავტომანქანის გასაღები (ე.წ. "ატმი-ჩკა") აღმოაჩნდათ.

როგორც გუშინდელ სპეციალ-ურ ბრიფინგზე თბილისის პოლიცი-ის უფროსმა განაცხადა, აღნიშნუ-ლი "ატმიჩკებით" შესაძლებელია ნებისმიერი ქვეყნის წარმოების სა-კეტების, მათ შორის - ავტომანქანე-

ბისა და სივრცის საკეტების გაღე-ბა. **"დამნაშავეები თბილისში, დი-დმის მასივში, ბინის ქურდობის დროს დაგაკავეთ. ისინი არიან რუ-სთავის მკვიდრნი: ომარ იმნაძე, ვალერი კურტანიძე და გია ლო-ჟანიძე. დადგენილია ჯგუფის კი-დევე ერთი წევრის, ასევე რუსთა-ვი მკვლელობის თამაშ გავნიძის ვი-ნაობა, რომლის ავტომანქანით ქურდები შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ."**

ავტომანქანასა და დამნაშავე-თა საცხოვრებელ ბინებში აღმო-ჩენილია დიდი ოდენობით ნაქურ-დალი ტელევიზორები, ვიდეო და აუდიოაპარატურა, ოქროსულობა და საოჯახო ნივთები," - აცხადებს ლევან მაისურაძე. მისივე ინფორმა-ციით, სამართალდამცველებმა გუშ-ინ, ფონიჭალის დასახლებაში, მეუ-ლლის სახლში დააკავეს ძეხნილი დავითი თაბაშვილი. დავითი თაბაშ-შვილი ერთ-ერთია იმ 129 პატიმარ-შორის, რომელიც გასული წლის სე-ქტემბერში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N2 მკა-ცრი რეჟიმის კოლონიიდან ჯგუფ-

ურ გაქცევაში მონაწილეობდა.

"სამძებროს სამმართველოების თანამშრომლებმა დავით თაბაშვი-ლი გამოენიისას დააკავეს. რუსთა-ვის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ის სასჯელის სხვისი ქონების ქურდობი-სთვის იხდიდა," - აცხადებს ლევან მაისურაძე.

შეგახსენებთ, რუსთავის კოლო-ნიიდან გაქცეული პატიმრების ნა-წილის დაკავება სამართალდამცვე-ლებმა იმ დღეებშივე მოახერხეს, გა-ქცეულთა გარკვეული ნაწილი პო-ლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა. მაშინ მეამბოხე პატიმრებმა ერთი გუშპაგი განაიარაღეს, საფუშაგის ერთი მცველი მოკლეს და მიიმალნ-ენ.

ერთი სიტყვით, თბილისის პო-ლიციის მთავარი სამმართველო, როგორც ამ უწყების თავკაცი აცხა-დებს, არც ერთ ძეხნილს, არც ერთ ნარკოდამნაშავეს და არც ერთ "კა-ნონიერ ქურდს" "გასაქანს" არ მის-ცემს და ყველა ღონეს იხმარს გარ-თულებული კრიმინოგენული სიტუ-აციის აღმოსაფხვრელად.

ორი სიტყვით

თბილისი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დედაქა-ლაქში მოქმედი ბინის ქურდების ორგანიზებული ჯგუფის წევრები დააკავეს. როგ-ორც შსს-ში აცხადებენ, აღნიშნულმა პირებმა გაქურდეს დილდის მასივში მცხოვრე-ბი ბინო სვედგვილის ბინა. დაკავებულ პირებს მათი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქა-ნა "ზმე"-ში, რომელიც რუსთავში მცხოვრე თამაზ გაგნიძეს ეკუთვნოდა, აღმოაჩნ-დათ სხვადასხვა დასახლებულს საოჯახო ნივთები, რომლებიც არ ეკუთვნის დაზარ-ალდულ სვედგვილს. ტარდება ღონისძიებები აღნიშნული პირების მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულთა გახსნის მიზნით. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

თბილისი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეათე მუხლთან და-კავშირებით და სამოსამართლო სწავლების ცენტრის ორგანიზებით მოსამარ-თლეებისა და პროკურორებისთვის მცხეთაში, 27-28 აპრილს, სემინარი გაიმართება. როგორც სამოსამართლო სწავლების ცენტრში აცხადებენ, სემინარში მონაწილეო-ბას 12 მოსამართლე და 8 პროკურორი მიიღებს. სემინარს ევროსაბჭოს ექსპერტე-ბი წარუდგებიან. ორი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილეები კონვენციის მეათე მუხლთან დაკავშირებით განიხილავენ პრეტენდენტული სამართლის საკითხ-ებს - ცილისწამება, შეურაცხყოფა, საზოგადოების ყურადღების ქვეშ მყოფი ადამიანების კრიტიკა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სიძულვილის გავლივე-ბა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს დაცვის პოლიციის დეპარტამე-ნტის პირველი ასეულის პოლიციის რიგითი, სოფელ საგურამოში მცხოვრები, 35 წლის ჯეშალ გოგაჭური, რომელმაც ურთიერთშეშლამარაკებისას ბასრი საგნით მუცელში დაჭრა სოფელ ჯილაურში მცხოვრები ძმები - ზვიად და გიორგი არაბუ-ლები. **მედი-ა-ნოუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს ლაღიძის ქუჩაზე მცხოვრები, 18 წლის გაგა მელივი და მესხის ქუჩაზე მცხოვრები, 23 წლის გიორგი ნადამილი, რომ-ლებმაც 9 მარტს, რუსთაველის გამზირზე მდებარე კაფე "ნიკელასთან", 27 მარტს დაკავებულ გიორგი ყიფიანთან ერთად, დანით დაჭრეს გულედანი. **მედი-ა-ნოუსი**

უკომპრომიზო ფოტორეპორტაჟი

ბასო ბულაშვილი

“დავით გარეჯას მონასტერში, გამოქვაბულებთა შორი-ახლოს, სადაც წმინდანები ცხოვრობდნენ, იყო კიდევ ერთი ქვაბული, სადაც ერთი საზარელი მხეცი მკვიდრობდა (გამოქვაბული, სადაც მხეცი ცხოვრობდა, დღესაც მოჩანს წმინდა დავითის ეკლესიის ქვემო ჩრდილოეთის მხარეს, ერთ-ერთ დიდ ნაპრაღში). ვეშაპს უზარმაზარი ცეცხლიმსფრქვეველი თვალები, თავზე დიდი რქა და ჯაგრის მსგავსი თმა ჰქონდა.

ერთ დღეს, როდესაც ირმები მამა დავითის გამოქვაბულისკენ მიდიოდნენ, მხეცმა მოსტაცა მათ ნუკრი და შეჭამა. როდესაც შეშინებული და შეძრწუნებული ირმები იხილა, ლუკიანემ უთხრა წმიდა ბერს მათი უჩვეულოდ ყოფნის შესახებ და ნუკრის არყოფნა მყისვე შენიშნა.

სანატრელმა დავითმა აიღო თავისი კვერთხი, რაზედაც იყო ქრისტეს ჯვარი გამოსახული და დადგა კვალს, სადაც ირმებმა გამოიარეს და იხილა წმიდა დავითმა ვეშაპი სიდიდით განსაკვირვებელი, სანახავად კი მეტად საზარელი. ღირსმა მამამ არაფრად ჩააგდო ნადირის შემადრწუნებელი შესახედაობა, უშიშრად და მრისხანებით უთხრა მას: “ჰოი, ბოროტო თავო, რად მაცნებელ ექმენ ჩემს ირმებს და რად შეჭამე ნუკრი მათი? ან გამოდი მაგ ადგილიდან და წადი ამ უდაბნოდან, რამეთუ ამიერიდან ეს უდაბნო ღვთის მოღვაწეთა ქალაქი შეიქმნება. თუკი ჩემს სიტყვას არ აღა-

სრულებ, ამ კვერთხით და ჯვრით განეხეთქაჲ შენს მუცელს და მატლთა საჭმელად დაგადგებ შენი!“. ხოლო ვეშაპმა, რომელიც ვეშაპში მკვიდრობდა, კაცობრივი ხმით ამოსძახა წმიდა მამას:

“ნუ მრისხავ, მონაო ღვთისა ცხოველსა და თუკი გნებავს წასვლა ჩემი ან საზღვართაგან, ამოდი შენც ჩემთან ერთად ამ მთის თავამდე და აღმითქვი მე, რომ არ მომამორებ თვალს მანამ, ვიდრე არ ჩავალ მდინარესთან, რომელიც ამ მთის სამხრეთითაა. რამეთუ ვშიშობ, რომ როცა გამოვალ, დასაწვავი შევიქმნები შენი გამწარებისთვის”.

დავითმა აღუთქვა ამისი ქმნა ნადირს და სასწრაფოდ გამოსვლა უბრძანა. გამოვიდა ვეშაპი საზარელი თავის საწყოფელისაგან. ველურ მხეცს წინ მიუძღვოდა ნეტარი დავითი. ვეშაპის სიძიძისაგან ლოდნი იძვროდნენ. მხეცის დამნახავი ლუკიანე, შეშინდა გონი დაკარგა და მიწაზე დაეცა “ვითარცა მკუდარი”.

ღირსი დავითი ვეშაპთან ერთად ავიდა მთაზე. შემდეგ ვეშაპი სწრაფი მოძრაობით დაეშვა ველზე და მდინარე მტკვრისაკენ გაემართა.

ამ დროს ღირს მამას უკანა მხრიდან უფლის ანგელოზის ხმა მოესმა: “დავით! დავით!” როცა დავითმა უკან მოიხედა, უცებ ციდან ჩამომავალი მეხი დაეცა ვეშაპს და დანვა იგი ვითარცა თივა.

იმ ადგილზე კი, სადაც ეს სასწაული აღსრულდა, აქამომდე შეინიშნება სიდამწვრე და არ აღმოცენდება მასზე მწვანე ბალახი.”

გობორნი (მიხაილ) პავლეს ძე საბინინი

ნებისმიერი, ვინც ცოტა ხნით მაინც ყოფილა დავით გარეჯში, ცოტა ხნით მაინც განუდევნია ზვივებისკენ დამიზნებული გიურზის შიში და მშვიდად გაუხედავს, ალბათ ყველას უგრძნია ის სიმშვიდე, რომელიც მერე მოსვენებას აღარ გაძლევს, თავს განატრებს და თითქმის ბოლომდე დარწმუნებული ხარ, რომ სიმშვიდეს მხოლოდ აქ თუ მოიპოვებ ისე ადვილად როგორც ქაშა სოკოს. ერთი ჩვენი დროებითი სეისმოლოგი მეგობარი ამაყად გვიმტკიცებდა ხოლმე, რომ საერთო ეპიშოპ, რომ როცა გამოვალ, ბის ყველაზე მშვიდი ფონი სწორედ აქ იყო - დავით გარეჯში და ამიტომაც ააშენეს ერთი დიდი “ნითელი სახლი”, რომელიც დღესაც გეოფიზიკის ინსტიტუტს ეკუთვნის. თუმცა ამ სახლმა უამრავი არაგეოფიზიკოსი მიიღო და გაისტუმრა. 1986 წელს ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის ჯგუფთან ერთად დავით გარეჯში გოგიტა ბუხაიძეც ჩავიდა... სამწუხაროა, რომ დღევანდელ რეპორტაჟში ავტორმა ძველი ფოტოები არ გამოიყენა, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილებაა.

შემოქმედის უკაცრიელი თავისუფლება ხელოვნების დარგის აღზევების ხანას მოაქვს ხოლმე, მაგრამ ეტყობა დღეს საქართველოში ფოტოგრაფიის დიდი ინტერესის ხანაა და არა აღზევების, ვინაიდან ფოტოგრაფებს საკმაო კომპრომიზზე წასვლა უწევთ (უმეტესწილად საუბარია რეპორტიორებზე). თითქმის გაუგებარია - რატომ მაგრამ ფოტორეპორტაჟების უმრავლესობა სოცოლოგიურ პრობლემებზეა აწყობილი - ადამიანების სევდაზე,

გაჭირვებაზე, უიმედობაზე. ზოგი უცხოელი ფოტოგრაფი იმითაც კი ხსნის ამ მოვლენას, რომ ეს მომხმარებლის გათვალისწინების გამო ხდება, რომ დღეს ასეთი რეპორტაჟი უფრო გაყიდვადია, უფრო საინტერესო და თვალშისაცემი:

აი, სახეგამურული ბავშვი, გულზემიხუტებული საქონლის ძელით, აი ცალფეხა მათხოვარი, მტრედების გარდა აღარაფერი რომ ეკარება, აი ღორების კოლტი სანაგვეზე რომ ნაყრდებია... - და მართლაც ეს დიდ ინტერესს იწვევს, ეს იყიდება, ესე იგი, ეს უნდა ვაკეთოთ. მთავარია რამოდენიმე ფოტოხერხი, ცოტა ნიჭი და თემის მოძებნა, არა მგონია, ერთბაშად ყველა ფოტორეპორტიორს მაინცდამაინც ამგვარი თემა აინტერესებდეს, მხოლოდ იქ მიუწევდეს გული და თვალი სადაც დაჭრილები გმინავენ, უსახლკაროები ლითობენ და ბავშვებს მშობლები აღარ აკითხავენ.

იმის თქმა სულაც არ მინდა, თითქმის გოგიტა ბუხაიძის ეს რეპორტაჟი პირველი მერცხალი იყოს, მაგრამ ეს მართლაც უკომპრომიზო რეპორტაჟია, ეს გახსენებაა 1986-1996 წლების მანძილზე დავით გარეჯში გატარებული ყოფისა. მცდელობა იქაური მოგზაურობიდან გამოყოფილი ნოსტალგიის გადმოცემისა - მიუხედავად ამისა, ეს ფოტოები არ ატარებენ მიკერძოებულ ხასიათსა და ემოციებს. ვერ ვიტყვით იმასაც, რომ ეს, უბრალოდ, ლამაზი ფოტოებია, როგორც “24 საათის” ერთი ფოტოგრაფი ლევან ხერხეულიძე ამბობს: - “თუ გინდა თქვა ცუდი ფოტოზე, თქვი რომ ის, უბრალოდ, ლამაზია”.



საქართველოს მოქალაქეობა

ქვეყანაში ყველაზე საპატიო სტატუსი უნდა იყოს

სანამ საქართველო ევროპისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის სრულუფლებიანი წევრი გახდება, სულ მცირე, ერთი რამ უნდა მოავაროს - რეგიონული მოწყობა.

უკვე მოსაწყენიც გახდა ძველი ხელისუფლების დანატოვარის გინება, მაგრამ საქართველოს რეგიონებში შექმნილი ვითარება სხვა არაფრის სურვილს არ ალგირავს. ნებისმიერი სოფელი მათემატიკური სიზუსტით ასახავს მთელ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას - დანგრეული ინფრასტრუქტურა, სიღატაკე, შიმშილი, უფულობა - ამ ყველაფერმა იმდენად ჩამოყალიბებული სახე მიიღო, რომ იმ ნებისმიერი სოფლიდან საკუთარი ძალებით ამის დანგრევა და ახლის აშენება შეუძლებლადაც კი ჩანს.

სახელმწიფო მინისტრი რეგიონების დარგში სულ ერთი კვირის დანიშნულია. ამიტომ მისი საუბარი უფრო მომავლის ნათელ გეგმებს შეეხება, რომლისაც მრავალჭირვადატანილ გლეხს, შეიძლება, არც კი სჯეროდეს. თუმცა, ოპტიმიზმის რაღაც ნაპერწკალი, ალბათ, იმ ნებისმიერ სოფელშიც კი არის, სადაც ზუსტად ის მდგომარეობაა, რაც მთელ ქვეყანაში.

მაია ჭალაბანიძე

- "ნაციონალური მოძრაობის" შექმნის სათავეებთან იდეით, გაზაზე ბევრი ხალხი შემოგვცალათ?

- მოძრაობაში დარსების დღიდან ვარ, საორგანიზაციო მდივანი ვიყავი. ბირთვი და წევრების უმრავლესობა დღემდე დარჩა. მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან იმდენად დიდი იყო წინააღმდეგობა, რომ ჩვენ გვერდით დადგომას ბევრი ვერ რისკავდა. სწორედ ისინი ჩამოგვცალდნენ.

- ელოდით, რომ პარტიის ზედი ასე წარიმართებოდა?

- სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მოლოდინები გვქონდა. რევოლუციამდე დიდი მხარდაჭერა იყო და ეს თბილისის არჩევნებშიც გამოჩნდა. ამ არჩევნების შემდეგ რეგიონულ სტრუქტურებში

ზურ ფიგურებდა იქცევია ხოლმე. ასეთი რა ეპიდემიაა, რა შენიშნეთ?

- დიახ, აქ იყო ეპიდემია. ეს სამსახური, ძირითადად, გამგებლებისა და გუბერნატორების კანდიდატურების რეკომენდაცია-განხილვით იყო დაკავებული. ეს რეკომენდაციები, გარკვეულწილად, მაშინდელ პრეზიდენტთან მიდიოდა. ალბათ, ეს იყო კოორდინაციის საშუალება.

- მსგავსი ცდუნებები ახლაც იქნება.

- მესმის, რომ ჩვენ თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, ევროსაბჭოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან გარკვეული ვალდებულებები გვაქვს, მაგრამ პირველ რიგში, საკუთარი ხალხის წინაშე ვართ ვალდებული.

"ვარდების რევოლუციის" დროს მეც იქ ვიყავი, ერთ-ერთი ვიყავი, ვინც

წინა ხელისუფლებას ძალიან ბევრი რამ ჰქონდა ცუდი, მაგრამ ყველაზე ცუდი მ წლის განმავლობაში ქვემო ქართლში იყო განმტკიცებული.

ბზეც დავინყეთ მუშაობა და მოსახლეობის განწყობამ ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა...

- სახელმწიფო მინისტრის ეს პოსტი სპეციალურად დაუშვებს?

- დიას. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არის რეგიონული სამსახური, რომელსაც ყოველგვარი დუბლირების გარეშე აქვს თავისი ფუნქციები.

რეგიონული მართვის, თვითმმართველობის საკითხებში რეფორმების საჭირო. შეიქმნა სამთავრობო საკოორდინაციო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც მე ამირჩიეს.

- კომისიას რაიმე განსაკუთრებული ფუნქციები აქვს?

მოქალაქეებს უნდა შეექმნათ განცდა, რომ არა მხოლოდ მოთხოვნის სახელმწიფოს, არამედ მონაწილეობაც მიიღონ და გარკვეული პასუხისმგებლობაც კი აიღონ თავის თავზე.

- დღემდე ჩვენს ქვეყანას თვითმმართველობის არანაირი სტრატეგია არ გააჩნია. გვაქვს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, როელშიც შრომის დაცვის, ჯანმრთელობის, განათლების დარგში ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. წინა ხელისუფლების დროს თვითმმართველობა მხოლოდ და მხოლოდ დეკლარირებული იყო. მას არ გააჩნდა არანაირი ფინანსური ბერკეტი. ამიტომაც იყო არაუფექტური და არასივოცხილესწრაფი. შედეგებიც სახეზეა.

არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით, ოქროს ზოდები არ დამხვედრია. არ დამხვედრია ის ოაზისები, რომელზეც შთამბეჭდავად გვიყვებოდნენ.

სერიოზულად არის მოსამზადებელი მმართველობითი ღონისძიების სამუშაოები, უფლებამოსილებათა გამოყვანა, ასევე თვითმმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია - ეს ყველაფერი უნდა ჩაუდგეს ჩარჩოს სტრატეგიაში, რომელსაც კონკრეტულად გადასადგმელი ნაბიჯების დეტალური გეგმა დაეფუძნება.

როგორც ჩანს, რეგიონული სამსახური, ძირითადად, გამგებლების და რწმუნებულების დანიშნით, საკადრო საკითხებით იყო გატაცებული.

- რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელები, ტრადიციულად, ოდით

ვითარებაზე. რაც მეტი ადამიანი იქნება ჩართული ამ პროცესში, მით უფრო დიდია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის შანსი. აქედან გამომდინარე, მოქალაქეებს უნდა შეექმნათ განცდა, რომ არა მხოლოდ მოთხოვნის სახელმწიფოს, არამედ მონაწილეობაც მიიღონ და გარკვეული პასუხისმგებლობაც კი აიღონ თავის თავზე.

- ხშირი ურთიერთობები გაქვთ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებთან?

- მიღების საათები და დღეები ოფიციალურად არ დამინესვებია. ყოველდღიურად გვიან ღამემდე აქ ვარ და მო-



ზურაბ მელიქიშვილი.

ის ქვემო ქართლი, სადაც რწმუნებულად ვიმუშავებ. თითოეულ რაიონთან და საკრებულოსთან უშუალო შეხება მქონდა და ვიცი, რა ვითარებაა.

- მართლაც, საინტერესო რეგიონი შეგხვდათ. რა გადაიბარეთ? ოქროს ზოდები არ გვერდო?

- ძალზე სავალალო მდგომარეობა დამხვდა. არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით, ოქროს ზოდები არ დამხვედრია. არ დამხვედრია ის ოაზისები, რომელზეც შთამბეჭდავად გვიყვებოდნენ. რეალურად, ამას არც ველოდი.

წინა ხელისუფლებას ძალიან ბევრი რამ ჰქონდა ცუდი, მაგრამ ყველაზე ცუდი მ წლის განმავლობაში ქვემო ქართლი იყო განმტკიცებული. კოორდინაციის უალერსად მაღალი დონე დამხვდა. იქ მუშაობის 2,5 თვის განმავლობაში ჩემ მიერ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე პროკურატურამ, დაახლოებით, 75 სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

- და ყველა ადგილობრივ ჩინოვნიკს ეხებოდა?

- არა მხოლოდ მათ. ყველა რაიონის მინის მართვის სამსახურის უფროსი მოვსენი დაკავებული თანამდებობიდან. იმ განმარტებული ოქროს თემაზე მეტად რეგიონში მინის საკითხები იყო

მოსაწესრიგებელი. დღეს ერთსა და იმავე სოფელში მოსახლეობა ერთმანეთზე მხოლოდ იმიტომ არის გადაკიდებული, რომ თავის დროზე არ იყო, ან სწორად არ იყო მიღებული გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, მოკლე ხანში ბევრს ვერაფერს შეეძლებოდა, მაგრამ ყოველდღიურად მქონდა საქმის ადგილიდან დაძვრის მცდელობა. ამ ხნის განმავლობაში რწმუნებულთან მატერიალური დახმარების სათხოვნელად თვეში მხოლოდ 5-6 მოქალაქე თუ მოვიდოდა, დანარჩენები, უბრალოდ, გვერდით დგომას ითხოვდნენ.

- მაშალაქე ხშირად ტრამპიზმით, რომ არაქართულ მოსახლეობას ქართულ ენას ასწავლიდა.

- ამ მხრივაც ძალზე ცუდად არის საქმე. დანამატები იმ პედაგოგთა ანაზღაურებასაც უნდა შეეხოს, ვინც არაქართული მოსახლეობით დასახლებულ პუნქტებში ასწავლის.

- ხშირად ისმის, რომ რწმუნებულთა ინსტიტუტი მოქველებული ფორმაა, რას შეეცლით?

- წინა ხელისუფლება უარყოფდა და ემხროდა მმართველობისა და თვითმმართველობის საკითხებზე ხმადალა საუბრებს. კომისია, რომელიც ახლა შეიქმნა, მმართველობის საკითხებზე იმსჯელებს.

ეხს. პარალელურად, კონსულტაციებს ვმართავთ და ვაყალიბებთ არასამთავრობოთა საბჭოს, ყოველივე ამის შემდეგ შერეული სახელმწიფო კომისია შეიქმნება, რომელიც ამ მიმართულების სტრატეგიას შეიმუშავებს. ამ სტრატეგიას ცენტრალური პროგრამა მოჰყვება, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ქვეყნის ისტორიული, ტერიტორიული თუ სხვა თავისებურებანი.

ქვემო ქართლში ექვსი რაიონი და ერთი ქალაქი მებარა. ყოველი რაიონი სპეციალური იყო და ინდივიდუალური მიდგომა სჭაჭიროებოდა.

რა თქმა უნდა, ტერიტორიული მონეობის კონცეფციაზეც იქნება საუბარი, ეს ძალზე ფაქტია თემა. სტრატეგია 2005 წლის ნოემბრამდე საბოლოოდ ჩამოყალიბდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე თვითმმართველობის განვითარების ნაბიჯებს არ გადავდგამთ.

- რწმუნებულებს რა ზედი ეწევათ?

- ამ სტრატეგიაში განისაზღვრება, რა ინსტიტუტები იქნება საჭირო და რა არა. ვაპირებთ ქონებრივი დელეგირების განხორციელებას - გარკვეული ფინანსური ბერკეტების, ტრანსფერების განაწილების უფლების გადაცემას. ვაპირებთ სხვადასხვა გადასახადების გა-

დატანას მმართველობის პირველ დონეზე. თვითმმართველობის ორგანოებს შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეთ და პასუხისმგებლობაც.

- პრეზიდენტს ხალხსა და ხელი-სუფლებას შორის ბარიერების აღმართვის ემინია. ეს ადგილობრივ ხელისუფლებაზეც ვრცელდება. რეგიონების თვითმმართველობებს კონკრეტულად რა სტრუქტურული ცვლილებები შეეხება?

- მომავალში ადგილებზე ძლიერი თვითმმართველობა იქნება და ამ კუთხით სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე გარკვეული რეფორმატორული ნაბიჯები გადაიდგმება. პარლამენტში წარსადგენად რამდენიმე ისეთი კანონპროექტი მზადდება, რაც თვითმმართველობას საქმის საკეთილად რეალურ ბერკეტებს აძლევს. ასე რომ, ცვლილებებს უნდა ველოდით.

- ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ თბილისს გარეთ დემოკრატია სუსტად იცინა. როგორ უნდა აგრძო-ბინოთ ხალხს დემოკრატია?

- ადგილობრივი მოსახლეობა ამას აუცილებლად იგრძნობს. ვამზადებთ კანონპროექტს მოქალაქეთა მხრიდან "კანონპროექტის ინიცირების წესის შესახებ" და ადგილობრივ მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაფართოების მიზნით ღონისძიებები შემუშავდება.

ქვეყანაში ყველაზე საპატიო სტატუსი საქართველოს მოქალაქეობა უნდა იყოს და ყველაფერს გაუაკეთებთ ამისთვის. სანამ ეს ასე არ იქნება, მანამდე სამოქალაქო სიმშვიდე და სტაბილურობა არ დამყარდება.

- კადრები განსაკუთრებით რეგიონებში ჭირს. როგორ ამოავსებთ ამ ვაკუუმს?

- გეთანხმებით, ყველაზე რთული მუნიციპალური კადრების და პრესონალის შერჩევაა. პროექტები ამ კუთხითაც განხორციელდება, ისინი მომზადდებიან. კადრები კი მთელი საქართველოს მოსახლეობაა.

- როგორ არის ჩართული თქვენი სამსახური აჭარაში განვითარებულ დღევანდელ მოვლენებში?

- ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოს, აჭარის ცხოვრებაშიც ჩართულნი ვართ. ცხადია, ანტიკორმინალურ საკითხებში ვერ ჩავერევით, რადგან აჭარაში შექმნილი სიტუაციის რეგიონულ ჭრილში განხილვა არანაირად არ შეიძლება. რეგიონის ხელმძღვანელობაში მყოფ რამდენიმე პიროვნებას პრობლემა იქვს საქართველოს ხელისუფლებასთან და აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. არ შეიძლება რეგიონულ ჭრილში განხილო საკითხი, რომელიც შეიარაღებულ ამბოხებას ან დაუმორჩილებლობას ეხება. ადამიანები, ვისთანაც ჩვენს სამსახურს ურთიერთობები ჰქონდა, დაშინებულები არიან.

- შეიძლება თუ არა გამოვყოთ ის სპეციალური პრობლემები, რომელიც ყოველ რეგიონს ექსკლუზიურად ანუხებს?

- ძირითადად, ეს სოციალური პრობლემებია. უმუშევრობამ ხალხი რეგიონებიდან თბილისში ჩამოიყვანა. ხელისუფლების და მთავრობის მიდგომა ის არის, რომ ინვესტიციები რაიონებში, ადგილებზე განხორციელდეს. ხალხს დაუბრუნდეს სამუშაო ადგილები. ძირითადად, ყველგან ერთი და იგივე პრობლემებია.

- ისეთი თანამდებობა გაქვთ, სახალხლოდ გოჭებსა და ინდაურებს არ მოგაკლდება...

- ყველა ზემოთ აღნიშნული სახის საჩუქრები უარყოფილი იქნება და ამ ადამიანებს მკაცრად მოკითხებათ, თუ საიდან მოდის ეს საჩუქრები...

- იქნებ, საკუთარი მეურნეობიდან?

- ვიცი, რომელი გუბერნატორი რას ზრდის და რომელი გამგებელი რას ხნავს და თესავს.

- უკანასკნელ სამ თვეში თქვენი კარიერა ელვისებურად განვითარდა. ამ კაბინეტში როდემდე დარჩებით?

- მიმდებარე, რომ მალე უკეთეს თიანხში გადამიყვანენ... უფრო სერიოზულად კი, რა დავალებაც იქნება, იმას გავაკეთებ. რაიონის გამგებელი იქნები, სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე თუ ჩვეულებრივი მოსამსახურე, ყველგან რაღაც ისეთი უნდა გააკეთო, რომ მენი სოფლისა და ქალაქის ისტორიაში შევიდეს. ეს ისტორია დღეს იწერება.

წიგნი ქუჩაში

წიგნის დღე საქართველოს კალენდარში შეიტანეს

წიგნის მსოფლიო დღეს - 23 აპრილს, მსოფლიოს 80 ქვეყანასთან ერთად საქართველო შარშან პირველად გამოეხმაურა. ეს დღე ჩვენი სხვადასხვა ღონისძიებებით გუშინაც აღინიშნა და ამიერიდან ტრადიციად დამკვიდრდება. თუმცა შარშანდღელისაგან განსხვავებით გუშინ ამ დღესასწაულს მხოლოდ წიგნის მსოფლიო დღის დატვირთვა არ ჰქონია. წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე პროფესიული დღე ანუ წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე დაარსდა. ამიერიდან საქართველოს ოფიციალური კალენდარის მიხედვით, 23 აპრილი წიგნის სექტორის მუშაკების პროფესიული დღეა.

ნანა ბასილაშვილი

“წიგნი ქუჩაში” - გუდიაშვილის ქუჩაზე, ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, წიგნი-სა და საავტორო უფლებების დღე 30-მდე გამომცემელმა და წიგნით მოვაჭრემ ასეთი სახელწოდებით აღინიშნა. ისინი მკითხველს ათასმდე დასახელების წიგნს, საშუალოდ 25-30 პროცენტიათ ფასდაკლებით სთავაზობდნენ. წიგნმა გუშინ გუდიაშვილის ქუჩაზე ძალიან ბევრი მკითხველიც და მყიდველიც გამოიყვანა.

“ძალიან გვინდა, დამკვიდრდეს წიგნის ჩუქების დღე, სტიმულირების მოსახდენად კი გვინდოდა, მკითხველისათვის მათი ყიდვა გაგვეადვილებინა”, - ხანმოკლე დინამიკური გაყიდვა, ისევე როგორც შარშან, ნელსაც მხოლოდ ერთი დღეს გაგრძელდა. ამ დღისა და ტრადიციის დამკვიდრების ორგანიზატორი კი წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და მისი პრეზიდენტი მერაბ ქათამაძე გახლავთ.

“წიგნის დღე” წიგნის მაღაზიებში

23 აპრილი თბილისის ერთ-ერთი პოპულარულ წიგნის მაღაზია “პარნასი”, კაფეს გახსნით აღინიშნა. მართალია, კაფე “პარნასი” უკვე რამდენიმე ხნის განმავლობაში მაღაზიის სტუმრებს (და არა მხოლოდ მათ) ემსახურება, მაგრამ ოფი-



ბასა, ბესო და ლაშა მულაძე.

კაუტის გამომცემლობის” ავტორებთან ერთად ორი ახალი წიგნი წარმოადგინა.

ბასა ჯანიაშვილმა მოთხრობების კრებულისა და პიესის შემდგომად, მართლაც, ამალელებული და ხალისიანი იყო. დაახლოებით 3 საათისთვის, ლაშა ბაქრაძის ომანიანმა შეძახილმა იქ მყოფი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. იგი გამომცემლობა “ბაკურ სულაკაურის” გამომცემლობის” ბუნდებთან იდგა და მკითხველს ახალი წიგნების გასაცნობად ეპატიჟებოდა. ლაშა ბაქრაძემ სიტყვა სენიას გადაულოცა. მწერალმა ლაშა მულაძემაც არ დააყოვნა და “ბაკურ სულა-

დის. წიგნის კითხვისას მკითხველს სწორედ ომის პერიოდი გაახსენდება; ურის რიგები, უშუქობა, ყაჩაღობა, ძარცვა და ა.შ.” – ბასა ჯანი-კაშვილის რომანმა დღის სინათლე გუშინ იხილა, ამდენად საკუთარი წიგნის შესახებ თავად ისაუბრა და მკითხველისაგან კეთილგანწყობა ისურვა.

ბესო ხვედელიძის “ძალღური ცხოვრება” – შეიდი მოთხრობისგან შემდგარი კრებულია. გუშინდელ დღემდე მწერალი ოთხი წიგნის ავტორი იყო, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, ეს პირველი წიგნია, რომლითაც იგი პირველად კმა-

ლევან ხაჩიშვილი, ფოტო

ბრაფიკული დიზაინის ავანგარდში

ნინო ჭანიშვილი

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი წიგნის თაროებზე მაგი, “ქართული მწერლობის”, მუქ ტონალობაში გადაწყვეტილი “ქართული პროზის” გვერდით, ფერადი, რბილყდიანი და თანამედროვე დიზაინით გაფორმებული “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები”, “აგვისტოს პასიანის”, “ოპერა” და სხვა წიგნები დაბინავდნენ. ეს ყველაფერი 1990-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო, როცა “ბაკურ სულაკაური” გამომცემლობა თანამედროვე ქართველი ავტორების გამომცემას შეუდგა. “ბაკურ სულაკაურის” წიგნების მუდმივი გამაფორმებელი მხატვარი თამაზ ვარვარიძე გახდა. ამის შემდეგ იწყება თამაზ ვარვარიძის აქტიური საქმიანობა წიგნის გაფორმების ხელოვნებაში და საბჭოთა დროისგან განსხვავებით უამრავი შეკვეთის მიღება. “მაშინ სხვანაირად იყო წიგნის გაფორმების საქმე, რაც მიღებული იყო ის უნდა გაგვეკეთებინა – ამბობს თამაზ ვარვარიძე – “ძალიან ცოტა იყო შეკვეთები. ძირითადად გარდაცვლილ ავტორებს ვარჩევდით. თუ თანამედროვე ავტორების წიგნებს ვაფორმებდით, იმდენად აქტიურად ერეოდნენ პროცესში, რომ, ფაქტობრივად ჩვენი აღა-

რაფერი რჩებოდა. ეხლა პროცესი ბევრად უფრო საინტერესო და შემოქმედებითი გახდა”.

მას შემდეგ რაც თამაზ ვარვარიძე აქტიურად ჩაება წიგნის გაფორმების ხელოვნებაში, მას საყვარელი ავტორების სიაც გაუჩნდა, რომელთა წიგნებს ყოველთვის სიამოვნებით აფორმებს. ეს სია მცირეა: აკა მორჩილაძე და ზურაბ ქარუმიძე. “თაზო ძალიან ნიჭიერი კაცია” – ამბობს ზურა ქარუმიძე – “მართალია, ტექსტებს ბოლომდე არ კითხულობს. მაგრამ ეს არც მიკვირს, ჩემი მეორე წიგნი “ღვინო-მუქი ზღა” ძალიან დიდი ტექსტია და რომ დაინახა, მთხოვა შენ თვითონ მომიყევიო. თაზოს საოცარი გემოვნება აქვს, ზომიერების გრძნობა და იცის როგორ ითამაშოს მინიმალური საშუალებებით”.

ვარვარიძეების ოჯახს შეიძლება ითქვას გრაფიკული დიზაინის სფეროები გადანაწილებული აქვთ. თამაზ ვარვარიძე წიგნის გაფორმების გარდა, პლაკატის და ლოგოების შექმნით არის დაკავებული. მისი ვაკეთებულაა “იმედი L-ის”, “ბაკურ სულაკაურის” და ბევრი წარმატებული ორგანიზაციის ლოგო. “ლოგოს ვაკეთებდა ძალიან ძნელია, უნდა იყოს ლაკონური, რომელშიც გამოსახული იქნება არსი, თან მა-სმტაბურ და მცირე ფორმატშიც

უნდა იკითხებოდეს” – ამბობს მხატვარი. თამაზ ვარვარიძის მეუღლეც სოფიო კინწურაშვილი მხატვარია. სოფიო 80-იანი წლებიდან მოყოლებული საბავშვო ლიტერატურას აფორმებს. ამჟამად ის ქართველი ავტორების ლექსების კრებულზე მუშაობს, რომელშიც მხატვრის შვილსტარცია მევა. გარდა ამისა ამჟამად სოფიო აფორმებს სერიას “ყველა დროის საუკეთესო მცირე რომანი”. ამ სერიიდან ოთხი წიგნი უკვე გამოიცა. შესანიშნავი გაფორმების წყალობით აუცილებლად მოგინდება “კაცია-ადამიანის” გადაკითხვა. ოჯახური საქმიანობის ამსახველი ვებ-გვერდი varvaridze.com თამაზ ვარვარიძის ვაჟის, ვებ-დისაინერის სამკას ვაკეთებულისა. მისივე ნინო ქათამაძის, “ჯი ემ თ ჯგუფის” და “ექსპო ჯორჯიას” საიტები.

გარდა შეკვეთებისა, თამაზ ვარვარიძე და სოფიო კინწურაშვილი მუდმივად ფუნქციონირებენ გრაფიკის ნიმუშებს. მათთვის დიდი გამოფენების ეპოქა 1970-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გრანდიოზული, გრაფიკული ხელოვნების ბიენალეები და ტრიენალეები აღმოცენდა. თუ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში იმართებოდა. თუმცა, მხატვრებს არასდროს უნახავთ როგორ გამოხატული იქნება არსი, თან მა-სმტაბურ და მცირე ფორმატშიც



სოფიო კინწურაშვილი, თამაზ და სამა ვარვარიძეები.

რები საგამოფენო დარბაზებში. გალერეების მისამართი მკაცრად გასაიდუმლოებული იყო საბჭოეთის მხატვართა კავშირის მიერ. “როდესაც რომელიმე მსოფლიო გამოფენაზე იგზავნებოდა ნამუშევარი”, - ჰყვება თამაზ ვარვარიძე – “ჯერ აქ მხატვართა კავშირში უნდა მიგეტანა, მერე აარჩევდნენ ნამუშევარს და მოსკოვში გაავაზენინდნენ. იქ მერე ხელახალი სელექცია მიდიოდა. საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილი ყველა ნამუშევრის ავტორი ერთი მისამართი ჰქონდა – “გოგო-

ლევსკი ბულვარ”. ეს იყო საკავშირო მხატვართა კავშირის მისამართი. მოკლედ, თუ ვინმე რომელიმე ავტორით დაინტერესდებოდა, მხატვართა კავშირისთვის უნდა მიემართა. ჩვენ გამოწერილი გვექონდა პოლონური ჟურნალი “პროექტი”, რომელიც მთლიანად გრაფიკულ დიზაინს ეძღვნებოდა. ამ ჟურნალში ყველა პრესტიჟული ბიენალეს მისამართი მითითებული იყო. ერთხელაც, 1978 წელს ჩვენ თვითონ პირდაპირ ფოსტით გაავაზენეთ ნამუშევრები ბრნოს ბიენალეზე.

ლევან ხაჩიშვილი, ფოტო

„მნამოსინა“ - გვანდომი და გავაგრძელოთ ტრადიციები

თამარ ჭაჭანიძე

გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში გაიმართა სტუდენტთა შრომების კრებულის “მნამოსინეს” პრეზენტაცია. ჟურნალში შესულია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან შერჩეული შრომები ელინოლოგიისა და ლათინისტიკაში, აგრეთვე თარგმანები ძველი ბერძნული, ლათინური და ახალი ბერძნული ენებიდან. ჟურნალი გამომცემლობა “ლოგოსში” გამოსცა, რომელიც სისტემატიურად ახორ-

ციელებს პროგრამას კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში პუბლიკაციებისა და ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია სტუდენტთა ჯგუფის მიერ ძველი ბერძენი დრამატურგის ევრიპიდეს ტრაგედიის “ტროელი ქალების” თარგმანი, ეს ამ ნაწარმოების ქართულ ენაზე გაუდგრების პირველი ცდაა. სტუდენტებმა ეს პიესა ინსტიტუტის სააქტო დარბაზშიც წარმოადგინეს. როგორც წიგნის გამომცემლებმა აღნიშნეს, სტუდენტურ შრომათა გამოცემას პერიოდული ხასიათი მიეცემა, რაც სტუდენტებს სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშების გამოღვიძებისა და შემდგომი პროფესიული წარმატებების საწინდარი გახდება.

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

სამშაბათს, 27 აპრილს 16 საათზე წიგნის “15 საუკეთესო მოთხრობა” პრეზენტაცია ნამყენი – ლაშა მულაძე

წითშაბათს, 29 აპრილს, 17 საათზე. ზაალ სამადაშვილის წიგნი “ახალი განზომილება”, აკაკი ბაქრაძის 8 ტომულის პირველი ტომის (ბიოგრაფიული რომანები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე) პრეზენტაცია.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

პარნასი და კიდევ პარნასი

თეონა ჭაჭარიძე

ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე “პარნასის” გვერდით კიდევ ერთი “პარნასი” გაიხსნა. ცხადია საზოგადოებისა და განსაკუთრებით კი ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის აღარაა საჭირო იმის შესხენება, რომ “პარნასი” – ეს წიგნის მაღაზია, და რომ ბოლო ორი წლის თბილისური ტენდენცია ლიტერატურული ბუზია, რომელიც მოიცავს მსგავსი მაღაზიების გახსნას, ახალი წიგნებისა თუ თარგმანების პრეზენტაციებს, მწერლებთან და გამომცემლებთან შეხვედრებს, ლიტერატურულ ხუთშაბათობებს, ლიტერატულ კავებებსა თუ ლიტერატურულ ჩაის სმებს. ყოველივე ამის შემდეგ ახალი “პარნასის” გახსნა ძველი “პარნასის” მესვეურებმა წიგნის საერთაშორისო დღეს დაამთხვეს.

ჭავჭავაძეზე ძველი “პარნასის” გვერდით, უკვე ახალი “პარნასის” წინ უამრავი ნაცნობი სახე და ტელეკამერა ირეოდა. ქუჩიდან ახალი “პარნასის” ვიტრინა ქართულ ლიტერატურულ ბოზონდა და კულტურისა და სპორტის ახალი მინისტრის ირეკლავდა, მაგინდას რომ შემოსხდომოდნენ.



გოკა გაბაშვილი კაფე “პარნასის” გახსნაზე.

ქუჩის მხრიდან კი ფრანგი მსახიობი ბურვილითი “დიდი გასიერების” სწორედ ამ ვიტრინაზე მიდგმულ კიბეზე მხატვარი (და კინორეჟისორიც) გიორგი მასხარაშვილი (მასხარა) გამოჩნდის. მასხარიდან წითელი საღებავით “პარნასის” აბრევიატურას აკეთებს. ცოტა ხანში აქ სანდრარულოვსიც გამოჩნდა.

“პარნასის” ერთ-ერთი დამფუძნებელს გია დარსალიას ვკითხე, რა ფუნქცია ენიჭება ახალ “პარნასს”, როცა ორ ნაბიჯზე იქვე ძველი “პარნასია”. მან კი ამიხსნა: “ახალი პარნასია (მასხარა) გამოჩნდის მასხარიდან წითელი საღებავით “პარნასის” აბრევიატურას აკეთებს. ცოტა ხანში აქ სანდრარულოვსიც გამოჩნდა.

მეც სწორედ ასე მოვიქცე: ახალი “პარნასის” შესასვლელშივე კასრიდან სტუმრებს თეთრი ღვინით უმასპინძლებოდნენ. “ზუზმა” კი, რა თქმა უნდა, ცოცხლად უკრავდა. იქვე კინორეჟისორი გიო მგელაზე შემხვდა ხელში თავისი პიესის საცდელი ეგზემპლარი. პიესა “გაილმით ჩიტი გამოფრინდება”, რომელიც ლიტერატურული კონკურსის “საბას” ნომინაციაზე წარდგენილი და რომლის თეატრალურ სცენაზე დადგმას აპირებს კინორეჟისორი, ვიზუალურად ძალზე მიმზიდველად გამოიყურება, იმდენად მიმზიდველად, რომ დავინტერესდები გავიგო, რომ ყდის დიზაინი მხატვარ ნინო ქორიძეს ეკუთვნის. ეს ისე, ლიტერატურულ-თეატრალური სიხარბისა და მოახლოებული “საბას” გამო მოყვა სიტყვას. კაფე “პარნასში” კი ნამდვილად მშვიდად შეგიძლიათ ჩაის ჩაუსხდეთ და თქვენთვის საინტერესო წიგნს გადახედოთ. მე კაფის მარცხენა კუთხე ავირჩიე და დავით კაკაბაძის ალბომი გადავშალე, იმიტომ რომ პარადოქსია, მაგრამ მომდევნო სტატია ცისფერყანწლეთა არტისტულ კაფეებზე მინდა გავაკეთო, თანაც ლეგენდარული “ქიმიონის” ფრესკების რესტავრაციაც მალე დასრულდება.

ლევან ხაჩიშვილი, ფოტო

ფეხბურთი

რივალდო ქინქლაძის ნაცვლად



რივალდოს ალბიონზე ელიან.

გიორგი ქინქლაძე ჯერ კიდევ უგუნდოდ არის. მისი გადაყვანით უკანასკნელად "ბოლტონი" იყო დაინტერესებული, თუმცა 31 წლის ქართველ ნახევარცენტრზე ბოლოს ამ კლუბმაც უარი განაცხადა.

როგორც აღვნიშნეთ, ქინქლაძე კვლავინდებურად უმუშევარია, ისევე - როგორც ბრაზილიელი სუპერ-ვარსკვლავი რივალდო, რომელიც "მილანიდან" წასვლის შემდეგ ბრაზილიის "კრუზეიროში" გადაბარგდა, შემდგომ კი იქიდანაც წამოვიდა. თუმცა, როგორც ჩანს, უახლოეს ხანებში რივალდო იპოვნის სამსახურს, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ 32 წლის ბრაზილიელს სწორედ ქინქლაძის დამწუნებელმა "ბოლტონმა" დაადგა თვალი.

ბარტი ფობსს რქები დაადგას

შოტლანდიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი, წარსულში სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელი ბერტი ფოგტსი თავის მეუღლეს შორდება. ბერტის და მონიკას გაშორების პროცესი, თითქმის ერთი წელია, გრძელდება, ახლა კი ცნობილი გახდა, რომ მონიკა ქმარს ღალატობდა. საინტერესო კი ის არის, რომ მონიკას საყვარელი იყო ბერტის ახლა უკვე ყოფილი მეგობარი, ვინმე იაკობ ფ. გერმანიის ყვითელ პრესას სალაპარაკო მიეცა. აღნიშნული პიროვნება ყოფილი მეგობრის ცოლის შეცდენით არ დაკმაყოფილდა და თავისი სასიყვარულო ისტორიის გამოშვურება გადაწყვიტა. იაკობ ფ-მ მონიკასთან თავისი ინტიმური ურთიერთობების ყველა დეტალი მოუყვა ჟურნალისტებს, თანაც ამტკიცებს, რომ ის მონიკამ შეაცდინა და არა - პირიქით.

მათი რომანი, თურმე, გასული წლის ოქტომბერში დაწყებულია. "მონიკამ დამირეკა და მითხრა, რომ გლაზგოს სახლის სახურავზე იდგა და იქიდან გადახტამას აპირებდა. რა უნდა მექნა ამ დროს? საღამოს 11 საათისათვის უკვე მათან ვიყავი. ის სამიწელ მდგომა-

რეობაში დამხვდა - განუწყვეტლივ ტირიდა და ღვინოს სვამდა. მას შემდეგ, რაც დავაწყნარე, მან იმ ოთახში შემიყვანა, რომელშიც უნდა დამეძინა. ათი წუთიც არ იყო გასული, როდესაც მონიკა ოთახში დაბრუნდა; მას შავი საცვალი ეცვა. იმ ღამეს მონიკამ შემაცდინა. იგივე განმეორდა დილას. მოგვიანებით მან მითხრა, რომ თავს ძალიან მარტოდ გრძნობდა და ამიტომ გადაწყვიტა ჩემი შეცდენა. მეორე დღე დავუახლოვდით ერთმანეთს", - ჰყვება 51 წლის იაკობი, ბერტი ფოგტსის ყოფილი მეგობარი და ყოფილი ჟოკეი.

ამ ადამიანის გულახდილობამ თვით ყვითელი პრესის წარმომადგენლებიც გააღიზიანა. თავად ბერტი ფოგტსმა კი განაცხადა, რომ მსგავსი სიბნელე საერთოდ არ აინტერესებს.

მარადონა ბადარცა

მოგესხნებათ, გასულ შაბათს წარსულში სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო არმანდო მარადონა ბუენოს აირესის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს. მარადონას კლინიკური სიკვდილიც კი ჰქონდა და უკანასკნელი დღეების განმავლობაში ის აპარატზე იყო შეერთებული.

არგენტინელი ფეხბურთელის გულშემმატიკვართა საბედნიეროდ, მარადონას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მისმა პირადმა ექიმმა აღფრედო კახემ განაცხადა, რომ დიეგოს ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ არის ისეთი

საგანგაშო, როგორიც წინა დღეებში იყო და მას სიკვდილის საფრთხე აღარ ემუქრება. კახეს თქმით, მარადონას მდგომარეობა ნელ-ნელა გამოისწორდა და, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერაც სპეციალური ანარატის დახმარებით სუნთქავს, სიცოცხლისათვის საშიში ვერაფერი აღმოუჩინეს.

"დიეგოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. მისი გული ნორმალურად მუშაობს და მისი ორგანიზმი თანდათანობით უბრუნდება ჩვეულ რიტმს. ვფიქრობ, 72 საათში აპარატს გამოვრთავთ", - განაცხადა კახემ.

ბეგმეზის ერთბაული "მეფე ოტო"

საბერძნეთის ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც 28 აპრილს ამხანაგურ მატჩში ჰოლანდიის ნაკრებს გაეჯიბრებიან.

საინტერესოა, რომ ამ ფორმაციის საბერძნეთის ნაკრების შექმნა ძალიან ჰგავს საქართველოსას. როცა რეჰაგელი საბერძნეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, იქ იყვნენ კარგი ფეხბურთელები, რომლებიც საზღვარგარეთის ძლიერ კლუბებში თამაშობდნენ; იყვნენ ისეთებიც, ვინც ადგილობრივ კლუბებს წარმოადგენდა. მოკლედ, რეჰაგელს ჰქონდა კარგი მასალა იმისთვის, რომ ეროვნული ნაკრების ჩონჩხი შეედლაბებინა. არ იყო მხოლოდ გუნდი, რომელიც დიდი შედეგების მიღწევას შეძლებდა და "მეფე ოტომ" ეს ლაფსუსი გამოასწორა.

საბერძნეთის ნაკრებში გაჩნდა დისციპლინა, რაც ასე აკლდა გუნდს და შედეგმაც არ დააყოვნა. ევრო-2004-ის შესარჩევი ტურნირის მე-6 ჯგუფში გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. რვა შეხვედრაში მოიგო - 6 და ორჯერ დამარცხდა. ამასთან, ბერძნებმა ამბიციური ესპანელები აიძულეს, გადათამაშებაში მოეუფლებინათ პორტუგალიის საგზური.

ბერძნებს ერთი თამაშის - ანუ განწყობის გუნდად მიიჩნევენ, მაგრამ მის მიერ ნაჩვენები შედეგი იძლევა საფუძველს, რომ საბერძნეთის ნაკრები პატივისცემას იმსახურებს. რეჰაგელის გუნდს, 15 მატჩია, არ ნაუგია. ბოლო რვა შეხვედრაში კი გოლიც არ გაუშვია.

ამის ერთ-ერთი მიზეზია ფეხბურთელთა შერჩევის დროს მწვრთნელის კონსერვატორული პოლიტიკა. რეჰაგელი არც მალავს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ის ფეხბურთელები გაემგზავრებიან, რომლებმაც ქვეყნისთვის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს; და როცა ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელები - ინიაკი საესი და ლუომ ფელიპე სკოლარი, თითქმის, ნახევარი გუნდის შეცვლაზე ფიქრობენ, რეჰაგელი ცდილ-



საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობა ჰოლანდიასთან მატჩისთვის:

მეკარეები: ნიკოპოლიდისი, ჩალკიასი (ორივე "პანათინაიკოსი"); **დაცვა:** სეიტურიდისი, გუმასი (ორივე "პანათინაიკოსი"), კასისი (აეკი), დელასი ("რომა"), ფისასი ("ბენფიკა"), დაბიზასი ("ნიუკასლი"), ვენეტიდისი ("ოლიმპიაკოსი"); **ნახევარდაცვა:** ბასინასი ("პანათინაიკოსი"), ზაგორაკისი, კაცურანისი (ორივე აეკი), კაფსისი, გეორგიდისი (ორივე "ოლიმპიაკოსი"), ცარტასი, ლაკისი (ორივე აეკი), იანაკოპულოსი ("ბოლტონი"), კარაგუნისი ("ინტერი"); **თავდასხმა:** ჰარისტეასი ("ვერდერი"), ვრიზასი ("ფიორენტინა"), ნიკოლაიდისი ("ატლეტიკო"), პაპადოპულოსი ("პანათინაიკოსი").

ობს, როგორმე შეათამაშოს გუნდი. ამის ნათელი დასტური ფეხბურთის სპეციალისტებმა და გულშემმატიკერებმა გუშინ მიიღეს, როცა რეჰაგელმა ჰოლანდიასთან სათამაშოდ შემადგენლობა დაასახელა.

შემადგენლობაში შევიცარიასთან 31 მარტის მატჩის შემდეგ მინიმალური ცვლილებაა.

ასე მაგალითად, ნაკრებში დაბრუნდა გეორგიოს კარაგუნისი, რომელიც მოედნის შუახაზში ტექნიკურ და სწრაფ ჰოლანდიელებს პრობლემებს შეუქმნის. ტრავმა

ოდ პირველი 60 წუთის განმავლო-

ბაში დააკაყოფილა. კერძოდ, ითქვა, რომ საბერძნეთის ნაკრებმა ვერ გამოიყენა რამდენიმე საკოლე

მომენტი. ჰოლანდიასთან შეხვედრაში კი ბერძნებს ხელსაყრელი მო

მენტების მაქსიმალურად გამოყე

ნება მოუწვეთ, რადგან მასპინძლე

ბისგან ბევრი საკოლე მომენტის

შექმნის ფუფუნებას არ უნდა ელო

დნენ. ამიერდან "მეფე ოტოს" მო

უწევს, გასვლითი მატჩებისთვის

კიდევ უფრო დახვეწოს სტრატეგი

ული მოდელი.

დიდი მატჩის მოლოდინში

ინტერვიუ ფრანკ რაიკაარდან



რაიკაარდი მომავალზე ფიქრობს.

გი უაღვსად მნიშვნელოვანი იქნება. წმინდა მათემატიკური თვალსაზრისით, ყველაფერი მოსალოდნელია და მე არაფერს გამოვიცხავე.

- ჩემპიონატის ბედი ამ ტურში გაირკვევა?

- ეს, უბრალოდ, კიდევ ერთი მორიგი მატჩია, თუმცა - მეტად მნიშვნელოვანი. "ბერნაბეუზე" გამარჯვების უდღესი სურვილით მივმხარეთები. ჩვენ ფეხბურთელებს სურთ, რომ ყველა გულშემმატიკვარს თავიანთი შესაძლებლობები აჩვენონ. მიუხედავად ამისა, ეს მატჩი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც იყო მატჩი "ვილიარეალის" წინააღმდეგ. თუ ჩვენ მას მოვიგებთ, მდგომარეობას გამოვასწორებთ.

- მარკესმა განაცხადა, რომ ჩემპიონატში დამარცხების შემთხვევაშიც კი, კარგი იქნებოდა "რეალის" წინააღმდეგ გამარჯვება, რადგან ანთა გულშემმატიკერებს გაახარებდით. თქვენც ასე ფიქრობთ?

- დიახ, მაგრამ ეს ვერაფერი უნდა იქნება. მე სხვა ვარიანტები ვერ მიხბოლავს - "რეალს" გულშემმატიკერების ხათრითაც უნდა მოვუვოთ და იმიტომაც, რომ ჩემპიონობის მანსი შევინარჩუნოთ. მიუხედავად იმისა, რომ ამის ალბათობა მცირეა, ჩვენ მაქსიმალურზე უნდა ვიფიქროთ.

- რა მოგონით "რეალში"?

- მე არ შემიძლია ამ გუნდზე საუბარი, რადგან იქ არ გმუშაობ. არ ვიცი, თუ როგორი ურთიერთობები აქვთ მათ გასახდელში, როგორ იქცევიან ფეხბურთელები. არ შემიძ-

ყოველთვის განსაკუთრებული რამ არის. საინტერესოა, როგორ ითამაშებს ის მომავალ სეზონში. მისი ხასიათი რომ ვიცო, მას პრობლემები არ შეექმნება, რადგან ძალიან სერიოზული და ჭკვიანი ადამიანია. როდესაც ფეხბურთელი ძლიერია, ის პირველ სეზონშიც და შემდგომ პერიოდშიც კარგ შედეგებს აღწევს.

- კიდევ ერთი სიურპრიზი იყო, ალბათ, ვან ბრონხორსტი, რომელმაც ამ სეზონში ყველაზე მეტი თამაში ჩაატარა ხავის და ვალდესის შემდეგ.

- მე მხარბებს მისი წარმატებები. ის არც ისე ცნობილი მოთამაშე იყო და მინიც ძეძლო გულშემმატიკერების პატივისცემას მოუოვება. მას ეს წარმატება უნდა მოუვლიყოთ.

- იმედი გაქვთ, რომ ვან ბრონხორსტი მომავალ სეზონშიც თქვენ გუნდში ითამაშებს?

- მე შემიძლია კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელების შესახებ ჩემი მოსაზრება გავუზიარო, ეკონომიკური თვალსაზრისით კი, ეს საქმე "ბარსელონას" და "არსენალის" გასარკვევია.

- გუნდის წარმატებული სერია დავიდის მოსვლის შემდეგ დაიწყო. მართლაც, ასეთი მნიშვნელოვანია ის "ბარსელონასთვის"?

- ედგარის მოსვლასთან ერთად გუნდი შეიცვალა. ფეხბურთელების შეცდმელ არსებებს იცო, თუ როგორ ითამაშებს ის, როგორ შეერწყმება გუნდს. თუმცა, დავიდის მოსვლა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. ის არის ფეხბურთელი, რომელიც გავლენას ახდენს გუნდის თამაშზე. დავიდისს წყალობით, "ბარსელონა" დაბალანსებული გუნდი გახდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

- განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება ახლა "ბარსა"?

- გუნდი ახლა პირველ ნაბიჯებს დგამს. კლუბის ხელმძღვანელობას სურს, რომ რამდენიმე წელიწადში ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავდეს. ახლა ჩვენ გვაქვს იმ

განაპირა ნახევარცენტრის - ცენტრალურ მცველთან. თავის ამპლუაში რონალდინიო, ცხადია, საუკეთესოა.

- ოლეგუერი თქვენთვის სიურპრიზი იყო?

- ის შესანიშნავად ასრულებს თავის სამუშაოს. ეს ბჭი ძალიან სწრაფად ითვისებს ყველაფერს. ოლეგუერს ახლა ყველა აქვს, მაგრამ მომავალში მისგან უფრო მეტს მოითხოვენ. როდესაც ახალბედა ფეხბურთელი თავის პირველივე სეზონში ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, ეს

- ტიტულის მოგწოვენ?

- ადამიანებს ტიტულების და კარგი ფეხბურთის ხილვა სურთ. ეს არის ორი ამოცანა, რომელიც ხელმძღვანელობამ დავცისაბა.

- რა აკლია თქვენს გუნდს იმისათვის, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს ევროპაში?

- პრესა უკვე აღაპარავდა იმაზე, რომ ამ "ბარსელონას" დიდი მომავალი აქვს; ამაზე "მესტალიაზე" და "რიაზორზე" მიღწეული გამარჯვენებიც მეტყველებს. ახლა "ბერნაბეუზე" გველის გამოცდა.

ინფორმაცია

ფეხბურთი. შოთა არევლაძე "რეი-ნჯერსში" რჩება. ქართველ ფორვარდ-ზე პრეტენზიას ამსტერდამის "აიაქს-იც" აცხადებდა, მაგრამ შოთა არევლაძემ შოტლანდიაში დარჩენა ამჯობინა და კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა.

ფეხბურთი. ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი ბოლო 50 წლის განმავლობაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. გულშემატკივართა შორის გამოკითხვას უეფა-ს ოფიციალური საიტი აწარმოებდა. ზიდანმა ფეხბურთის ისეთ ვარსკვლავებს გაუსწრო, როგორებიც ფრანკ ბეკენბაუერი და იოჰან კრუიფი არიან, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები გაიზიანლეს. ათეულში შევიდნენ: მარკო ვან ბასტენი, დინო ბოფი, ალფრედო დი სტეფანო, ეუსებιο, ლეე იაშინი, მიშელ პლატინი და პაოლო მალდინი. ყოფილი საბჭოეთიდან 50 საუკეთესო ფეხბურთელს შორის ვალენტინ ივანოვი დამკვიდრდა.

ფეხბურთი. პელემ თვალის ბაღუ-რის ოპერაცია გადაიტანა. ოპერაციას გართულება არ მოჰყოლია. გუშინ ლეგენდარული ბრაზილიელი საავადმყოფოდან უნდა გამოეწერათ.

ფეხბურთი. ბრაზილიელმა რონალდო გუშინ "რეალს" ვარჯიში გამოტოვა და, შეიძლება, არც "რეალ" "ბარსელონას" საკვირაო დაპირისპირებაში მიიღოს მონაწილეობა. ვარჯიშის დასაწყისში მან ფეხის ტრავმა მიიღო. რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა, დღეს გაირკვევა.

ფეხბურთი. ესპანეთის ნაკრებისა და "რეალ-სოსიედადის" ფეხბურთელმა ხავი ალონსომ განაცხადა, რომ არ ფიქრობს მადრიდის "რეალში" შესაძლო გადასვლაზე. "თუ "რეალის" ხელმძღვანელობას ჩემი შეძენა სურს, ეს მხოლოდ იმზე მეტყველებს, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ. ამჟამად ვცდილობ, არ ვიფიქრო "რეალში" გადასვლაზე და კონცენტრაცია სეზონის დარჩენილ მატჩებზე მოვახდინო", - თქვა ხავი ალონსომ. "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ალონსოს განიხილავს, როგორც "ჩელსიში" გადასული კოლდ მაკელელეს შემცვლელს და ზაფხულში მის შემქენს აპირებს.

ფეხბურთი. ბელგიის ნაკრების ფორვარდი მენხვა გუნდის შემადგენლობიდან ამოიშლეს იმ სკანდალისთვის, რომელიც მან თურქეთთან მატჩის წინ მოაწყო. მენხმამ ბელგიის ფეხბურთის ხელმძღვანელმა კორუფციაში დააბრალა და დაიკრიშნა მწვრთნელ ემე ანსტაშისა და ნიკოლაი სიხიუცა, გუნდში შეკრებაზე არ გამოიძახოს.

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგუსონი აცხადებს, რომ ბრაზილიელი კლდებერსონი მომდევნო სეზონში დასტურდება. "ვიმედოვნებ, რომ კლდებერსონი მომავალ სეზონში გაცილებით უკეთ ითამაშებს, ვიდრე - წელს. ის ინგლისში სასოულტურად სხვა გარემოდან ჩამოვიდა, ცოლი შერთო და მამა გახდა. ამას გარდა, კლდებერსონმა წელს მხარი დაიხიანა, შემდეგ კი მუხლის ტრავმაც მიიღო და მხოლოდ წინა კვირაში დაიწყო სრულფასოვანი ვარჯიში", - თქვა ფერგუსონმა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი ალბიონზე მარბან "ჯელეკიო პარანაენსედან" 10 მილიონ დოლარად გადავიდა.

ფეხბურთი. ტურინის "იუვენტუსის" გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი მომავალ კვირაში ბარსელონაში გადაფრინდება, რათა კატალონიელებს დევიდ ტრეზეგეს შესაძლო ტრანსფერზე მოელაპარაკოს. "ბარსელონამ" საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელში "იუვეს" 16 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა. ფეხბურთელმა პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე დააზუსტა. მისი ხელფასი წელიწადში 2 მილიონი გირვანქა იქნება; პლუს პრემიები. ფორვარდი ესპანელებთან კონტრაქტს 2008 წლამდე გააფორმებს.

